საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ცუდილებით და ჭირებით ბუტითის გაფანა ყველა უკარგისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 28 ნოემბერი. 2018 წ. №241 (8642) | sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

დღეს საქართველო გზაგასაყარზეა!

დამოუკიდებლობის დღიდან უკვე თითქმის ოცდაათი წლის მანძილზე მრავალნაირი გზა გამოვიარეთ, რაც მთავარია, ეკლიანი და ჯოჯოხეთური ტკივილებით მოკირწყლული, მაგრამ ჩვენი ხალხისთვის ჩვეული უკეთესი მერმისის იმედი არასოდეს არ დაგვიკარგავს. სწორედაც ამ ერის გამაღონიერებელმა იმედმა გაგვსარჯა, გვარუდუნა, გვაბრძოლა და მძიმედ, მაგრამ მაინც გარკვეულწილად წინ წაგვწია თანამედროვე ცივილიზაციას ადევნებულნი.

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენს უახლოეს ისტორიაში იყო ერთი ისეთი უმძიმესი მონაკვეთი, როცა ქვეყანა ყოფნა-არყოფნის წინაშე დადგა, როცა დემოკრატიზმით შენიღბული ეგრეთ წოდებული „რეფორმატორების“ ნაციონალურმა მოძრაობამ თავისი მოკლე ჭკუით „სიკეთის ქმნა“ „ბოროტების“ გზით გადაწყვიტა და, ნებსით თუ უნებლიეთ, ნამდვილად წისქვილის ქვა დაატრიალა ისედაც შეჭირვებული საკუთარი ხალხის თავზე.

და ამ დიახაც უმძიმეს ჟამს ამოუდგა იმედს გვერდში „ოცნება“, რომელთაც ერთობლივი ძალით 2012 წელს მტკიცე უარი უთხრეს ნაციონალების აშკარად ნეოფაშისტურ რეჟიმს, რომელმაც უამრავი მონაშენე ახალგაზრდის სიცოცხლე შეიწირა, როგორც 2008 წლის უაზროდ გაჩაღებულ ხუთდღიან ომში, ისე ყოველდღიურ არაადამიანურ ყოფა-ცხოვრებაში.

მართალია, „ოცნება“ თავისი შესაძლებლობის გაუთვალისწინებლად უზომოდ ბევრ სიკეთეს დაჰპირდა ხალხს და ბევრი რამ დღემდე არ შეუსრულებია, მაგრამ, ისიც ხომ ანგარიშგასაწევია, რომ ჯერ ერთი, სოფელი ერთ დღეში არ აშენებულა და, მეორეც, რა მემკვიდრეობა ერგო „ოცნებას“ წინა, მოძალადე და ქვეყნის მძარცველი ხელისუფლებისგან!

ახლა ზუსტად ის მდგომარეობაა, როცა ერთის ძალადობა მეორის სიბეჩავის ბრალია. დღემდე დაუსჯელი და პასუხუგები ნაციონალები შეტევაზე არიან გადმოსულნი იმ იმედით, რომ ოცნებაზე გარკვეულწილად გულგატეხილ ხალხს ნაციონალების მაშინდელი ბოროტება აღარ ახსოვს...

მარამ არა, მთლად ასე არ არის. იმ ბოროტების დავიწყება, რაც ნაციონალებმა საქართველოს და ქართველ ხალხს დამართეს, ექვსი წლის განმავლობაში კი არა, ასი წლის მანძილზეც არ შეიძლება.

თანაც ყველაფერი შედარებითია, საღ მავნებელი, ყალბი, ქვეყნის მტერი ნაციონალები და სად „ქართული ოცნება?!

ჩვენ არავითარი უფლება არა გვაქვს, ზურგი შევაქციოთ „ოცნებას“ და ისევ ნეოფაშისტური პარტიის ფეხის ხმას ავყვეთ.

უკან მიბრუნების უფლება არა და არა გვაქვს, ჩვენ მხოლოდ წინ უნდა ვიაროთ და უშიშრად გავუტიოთ მართლაც კარგი ხვალინდელი საქართველოსკენ.

დღეს საქართველო დიდ გზაგასაყარზეა!

სიბნელისკენ თითგაშვერილია მთელ ყოფილ საბჭოთა კავშირში ცნობილი ქოსატყუილა გრიგოლ ვაშაძე, იგივე ცხვრად თავმოკატუნებული მგელი საakაშვილი, ხოლო სინათლისა და სიკეთის გზას გვიჩვენებს ძველ ქართულ ღირსებაშენარჩუნებული, ხვადი ლომისა სწორი სალომე ზურაბიშვილი.

ერთი გზა სინათლისკენ მიდის, მეორე – სიბნელისკენ!

არჩევანი ახლა შენგზეა, გონიერო ამომრჩეველო!

ფიროსმანის ნახატი SOTHEBY'S-ის აუქციონზე 2 მლნ 230 000 გირვანქა სტერლინგად გაიყიდა

გუშინ, Sotheby's-ის აუქციონზე ცნობილი ქართველი მხატვრის ნიკო ფიროსმანის ნახატი „ქალი ლეჩაქით“, 2 მლნ 230 000 გირვანქა სტერლინგად გაიყიდა.

აუქციონის ოფიციალური გვერდის თანახმად, ნახატის საწყისი ფასი 500 000-დან 700 000-მდე გირვანქა სტერლინგი იყო.

„ქალი ლეჩაქით“ ცნობილი ავსტრიელი მწერლის შტეფან ცვაიგის კოლექციიდანაა. მწერალმა ეს ნახატი მოსკოვში მოგზაურობისას, 1928 წელს შეიძინა.

აღსანიშნავია, რომ ნახატი აუქციონის რუსულ სექციაში იყო განთავსებული, თუმცა მითითებული იყო, რომ ფიროსმანი ქართველი მხატვარია. აუქციონის წარმომადგენლების განმარტებით, ფიროსმანის ნახატი რუსულ სექციაში იმიტომ მოხვდა, რომ ცალკე ქართული სექცია არა აქვთ.

3

ჰკა, მაგ ნუნკლეგსა!

გელა გაგლუანი:

ნუ ავიგდებთ მასსრად ემიგრაციაში დაბადებულების „ქართულს“

5



ზაურ კალანდია:

ერთი ურემი ხმა რომ მქონდეს, ვაშაძეს ერთს არ ვუწილადებდი...

7

ტრამპს CNN-ის ალტერნატივის შექმნა სურს

აშშ-ის პრეზიდენტს დონალდ ტრამპს ტელეკომპანია CNN-ის ალტერნატივის შექმნა სურს ამერიკასა და საზღვარგარეთ მიმდინარე მოვლენების მისთვის ხელსაყრელად გასაშუქებლად.

„მართალია, აშშ-ში CNN-ს საქმე კარგად არ მისდის რეიტინგების თანახმად, თუმცა უცხოეთში მას ცოტა კონკურენტი ჰყავს. მთელს მსოფლიოში CNN ძლიერი რუპორია, რომელსაც აშშ ცრუ, უპატიოსნო სახით გამოჰყავს. რაღაც უნდა გაკეთდეს, მათ შორის ისიც, რომ აშშ-მა ჩვენი საკუთარი გლობალური ტელექსელი გახსნას, რათა მსოფლიოს ვუჩვენოთ, სინამდვილეში რა დიდებულები ვართ“, – წერს ტრამპი Twitter-ში.

ტრამპი დიდი ხანია CNN-თან დაპირისპირებულია. ის ტელეარხს „ფეიკურ ახალ ამბებს“ უწოდებს.

მამუკა ბახტაძე: 28 ნოემბერს ქართული დემოკრატია გაიმარჯვებს!

დარწმუნებული ვარ, 28 ნოემბერი იქნება დემოკრატიის კიდევ ერთი გამარჯვება, რაც ქართული სახელმწიფოს საერთო გამარჯვებას ნიშნავს, — განაცხადა გუშინ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ საგანგებო ბრიფინგზე.

მისი თქმით, 2012 წლის შემდეგ „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში არჩევნები ტრადიციად იქცა, ამიტომ მეორე ტურიც სწორედ ასეთ გარემოში ჩაივლის.

„ხვალ, თითოეულ ამომრჩეველს ექნება საშუალება, გააკეთოს თავისუფალი არჩევანი, საკუთარი მოსაზრებისა და სინდისის კარნახით მისცეს ხმა მისთვის სასურველ კანდიდატს. თითოეული ამომრჩევლის ხმა იქნება დაცული და ეს არის ჩვენი ხელისუფლების მტკიცე პოლიტიკური ნება. მოგეხსენებათ, რომ არჩევნების დღე უქმე დღედ გამოვაცხადეთ. მოვუწოდებ ჩვენს მოქალაქეებს, გამოიჩინონ აქტიურობა და მოიხადონ მოქალაქეობრივი ვალი ქვეყნის წინაშე. ყველა მივიდეთ არჩევნებზე და გავაკეთოთ სასურველი არჩევანი. ასევე, მივმართავ ყველა დამსაქმებელს, ხელი შეუწყონ თითოეულ ჩვენს თანამოქალაქეს მიეცეს არჩევნებში მონაწილეობის საშუალება და არ შეეზღუდოთ კანონით გარანტირებული უფლება. ჩვენმა ხელისუფლება ყველაფერი გააკეთა იმისთის, რომ ეს არჩევნები იყოს თავისუფალი, გამჭვირვალე და დემოკრატიული, მოვუწოდებ ყველას დაიცვას კანონის მოთხოვნები. არ შექმნას საარჩევნო პროცესში ისეთი ვითარება, რომელიც ხელს შეუშლის ამომრჩევლის თავისუფალი ნების გამოხატვას. საფრთხეს შეუქმნის და ჩრდილს მიაყენებს არჩევნების პროცესს. ნებისმიერ, კანონსაწინააღმდეგო მოქმედების შემთხვევაში, სახელმწიფო იმოქმედებს კანონის სრული დაცვით. ვავალებთ შინაგან საქმეთა სამინისტროს თითოეულ პოლიციელს, რომლებმაც არჩევნების პირველი ტურში თავისი მოვალეობის შესრულებისას აჩვენეს უმაღლესი სტანდარტი, ამჯერადაც უზრუნველყონ მთელი ქვეყნის მასშტაბით საარჩევნო უბნებზე მაქსიმალური წესრიგი. რეაგირების გარეშე არ დატოვონ და საჭიროების შემთხვევაში, დროულად აღკვეთონ ნებისმიერი კანონდარღვევა. მინდა ვივმართო ადგილობრივ და საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციებს და ყველა მედიასაშუალებას, რომ ხელისუფლება მათთვის უზრუნველყოფს არჩევნების მიმდინარეობის მონიტორინგისა და გაშუქების დაუბრკოლებელი განხორციელების პირობებს...

იენს სტოლტენბერგი: მოვუწოდებთ რუსეთს, დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს უკრაინელი მეზღვაურები და გემები

უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის მიმართ მხარდაჭერა გამოიხატა NATO-ს ყველა წევრმა, — ამის შესახებ ალიანსის გენერალური მდივანმა NATO — უკრაინის კომისიის საგანგებო სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა. იენს სტოლტენბერგმა მოუწოდა რუსეთს, გაათავისუფლოს დაკავებული მეზღვაურები.

„შეხვედრაზე ნატოს ყველა მოკავშირემ სრული მხარდაჭერა გამოხატა უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მიმართ, ამიტომ მოვუწოდებთ რუსეთს, უზრუნველყოს უკრაინის პორტებში შეუფერხებელი წვდომის უზრუნველყოფა და აზოვის ზღვაში და ქერჩის სრუტეში უკრაინისთვის ნავიგაციის თავისუფლება. უკრაინული გემებისა და საზღვაო ძალების წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენებას არ აქვს გამართლება. ამიტომ, მოვუწოდებთ რუსეთს, დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს უკრაინელი მეზღვაურები და გემები. მხარეებს სიმშვიდეს და თავშეკავებისკენ მოვუწოდებთ“, — განაცხადა სტოლტენბერგმა.

შეგახსენებთ, რომ გუშინ უკრაინაში საომარი მდგომარეობა გამოცხადდა. პრეზიდენტის განკარგულებას საომარი მდგომარეობის გამოცხადების შესახებ უკრაინის რადამ 276 ხმით მხარი დაუჭირა.

გერმანია სამხედრო სფეროშიც დაგვეხმარება

პირველად ჩვენი თანამშრომლობის ისტორიაში ხელი მოეწერა თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის შეთანხმებას, სადაც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ **გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა კვლავაც მხარს დაუჭერს ნატოს ღია კარის პოლიტიკას საქართველოსთან მიმართებაში და ნატოში ინტეგრაციის გზაზე საქართველოს გასაწევრიანებლად მაქსიმუმს გააკეთებს,** — ეს განცხადება საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ ბერლინში, გერმანელ კოლეგასთან ურსულა ფონ დერ ლაიენთან შეხვედრის დასრულების შემდეგ გააკეთა, სადაც ხელი სამინისტროებს შორის სამხედრო სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას მოეწერა.

„გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის ფედერალურ სამინისტროსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის სამხედრო სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებაში“ გაწერილი მიმართულებები საქართველოს ალიანსში გასაწევრიანებლად დაეხმარება და თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში ქვეყნებს შორის თანამშრომლობის პრიორიტეტულ მიმართულებებს განსაზღვრავს.

ლევან იზორიამ სამხედრო სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები ასევე განიხილა ბუნდესვერის თავდაცვის შტაბის უფროსთან, გენერალ ებერჰარდ ცორნთან, გერმანიის პარლამენტის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარესთან ვოლფგანგ ჰელმიხთან და კანცლერის მრჩეველთან თავდაცვის საკითხებში, ფლოტილიის ადმირალთან ალექს დეერცთან.

მამუკა ხაზარაძე ანაკლიის პორტის პროექტისთვის დაჯილდოვდა

„ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ დამფუძნებელი მამუკა ხაზარაძე THE NEW YORK TIMES-ის ყოველწლიური გამოცემის Turning Points-ის სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა.

„ადამიანები, რომლებიც ცვლიან გარემოს“ — ასე ეწოდება ნომინაციას და ჯილდოს, რომელიც მამუკა ხაზარაძეს „საუკუნის სახელების“ დაჯილდოების ნაწილში, საუკუნის პროექტის — ანაკლიის პორტის მშენებლობისთვის გადაეცა.

THE NEW YORK TIMES-ის ყოველწლიური გამოცემის TURNING POINTS-ის პირველი ლიცენზირებული გამოცემის წარდგენა სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში“ გაიმართა. Turning Points-ს, რომელსაც წლის მაპროგნოზირებელ გამოცემასაც უწოდებენ, წელს მსოფლიოს 26 ქვეყანასთან ერთად საქართველოც შეუერთდა. ჟურნალი „Turning Points“ 2018 წლის საინტერესო კულტურულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ისტორიებს, ესეებს, ამ სფეროების წარმომადგენლების პორტრეტებსა და ფოტოპროექტებს აერთიანებს, მათ შორის, ინტერვიუს მამუკა ხაზარაძესთან, სათაურით — „უფრო მეტი, ვიდრე ღრმაწყლოვანი პორტი“.

გამოცემის წარდგენაზე საუკუნის სახელების საპატიო პრიზებით დაჯილდოვდნენ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, ენათმეცნიერი მზექალა შანიძე, კომპოზიტორი გია ყანჩელი, კინორეჟისორი მერაბ კოკოჩაშვილი და სხვები.

საქართველო რუსეთის ფსიქოლოგიური ომის სამიზნეა!

საქართველო **რუსეთის ფსიქოლოგიური ომის წარმოების პოლიგონად იქცა — ეს პროცესი უფრო აშკარა გახდა საპრეზიდენტო არჩევნების პარალელურად. როგორც ირკვევა, რუსეთის ფედერაციის ეროვნული თავდაცვის ცენტრში შეიქმნა სპეციალური ოპერაციების სარდლობა. ასევე შეიქმნა სპეციალიზებული ჯგუფი, რომლის მოტივიც ფსიქოლოგიური და საინფორმაციო ომის მხარდამჭერი ქვედანაყოფის შექმნაა.**

ამ ჯგუფის წევრები არიან რუსი სამხედროები და რუსეთის თავდაცვის სამინისტროსთან დაახლოებული პოლიტიკურ-ფსიქოლოგთა ჯგუფი, რომლის მთავარი მიზანია ფსიქოლოგიური ომის წარმოება სხვა ქვეყნის წინააღმდეგ. გარდა ამისა, რუსეთის თავდაცვის დოქტრინაში იგეგმება ახალი ცვლილების შეტანა, რომლის მიზანი იქნება ფსიქოლოგიური ომის სტრატეგიის შემუშავება და მისი განვითარება.

„სპეცსამსახურების საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლის საქართველოს ცენტრის“ თავმჯდომარე **ბესიკ ალადაშვილი** განმარტავს, რომ ეს არის ფეესბეში მომუშავე სპეციალური დანაყოფი, რომელთა მუშაობის სტრატეგია ფსიქოლოგიური ომის წარმოებაა. მისი თქმით, ასეთი დანაყოფის შექმნა რიგ შემთხვევაში კავკასიის ქვეყნებს ეხება: „ჩვენ მეხსიერების პრობლემაც გვაქვს. გავიხსენოთ 1989 წელი, შემდეგ 1991 წელი, როგორ იწყებოდა დაპირისპირება ჯერ ეროვნულ მოძრაობაში, შემდეგ როგორ მოხდა გამსახურდიას ხელისუფლებაში და ქვეყანაში განხეთქილების შემოტანა. ასევე, გავიხსენოთ შემდეგი წლები და ყველა ის ქმედება რომელსაც რუსეთი ახორციელებს საქართველოს წინააღმდეგ — რუსეთს აწყობს მუდმივი ქაოსი და დაძაბულობა“, — აცხადებს ბესიკ ალადაშვილი და დასძენს, რომ ქვეყანა ისევ მიდის უფრო მეტი დაპირისპირებისკენ. „სამწუხაროდ, საქართველოში ჯერჯერობით არ არსებობს არც ავტორიტეტული პოლიტიკოსების ჯგუფი, რომლებიც ნეიტრალური პოზიციით შეძლებენ, ქვეყანა აარიდონ უფრო მეტ საფრთხეს. რაც მთავარია, ეს არის შედეგი იმისა, რომ ქვეყანას არ ჰყავს ეროვნული სპეცსამსახურები. სამწუხაროდ, საქართველო არის იოლად ასარევი ქვეყანა და ამის შედეგს ვიმკით“, — აღნიშნავს იგი.

ანალიტიკოსის **ზაალ ანჯაფარიძის** შეფასებით, რუსულ პროპაგანდასთან ბრძოლა საქართველოში ორმაგი დატვირთვის საქმე გახდა — საჭიროც და მომგებიანიც, რადგანაც კონიუნქტურიდან გამომდინარე, დონორები ამაზე ფულს უხვად იძლევიან. მთავარია რაღაც აკეთო და დაანახო, რომ აკეთებ.

„თუმცა ჩემი დაკვირვებით, საქართველოში რუსულ პროპაგანდასთან ბრძოლის შედეგები, რითაც იზომება საქმის წარმატება თუ წარუმატებლობა, საკმაოდ მწირია. ასე მგონია, რომ ჩვენი საზოგადოების დიდ ნაწილს, განსაკუთრებით საშუალო და უფროს თაობას, ასევე ახალგაზრდების გარკვეულ ფენას, უფრო კომფორტულად მიაჩნია რუსული პროპაგანდის მიერ შექმნილ პარალელურ რეალობაში ცხოვრება თავის „პარალელური სიმართლითა“ და „კანონებით“. **ამის ერთ-ერთი მიზეზი კი ის არის, რომ ჩვენთან რუსულ პროპაგანდასთან ბრძოლის მთელი ინსტრუმენტარიუმი, გარდა იმისა, რომ საკმაოდ პრიმიტიულია და ხორციელდება ისეთი აქტორების მიერ, რომელთაც საზოგადოებაში მაღალი ნდობა არ აქვთ, ძირითადად მომართულია შედარებით ვიწრო და სპეციფიკურ აუდიტორიაზე. ამ აუდიტორიას კი ისედაც შეუძლია ნამდვილი და პარალელური რეალობების ერთმანეთისგან გარჩევა“,** — წერს ზაალ ანჯაფარიძე.

თამთა ძარჩავა

ᲰᲙᲐ, ᲛᲐᲒ ᲬᲣᲜᲙᲚᲔᲑᲡᲐ!

ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲢᲣᲠᲘᲐ.

ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ, ᲔᲠᲗᲘ ᲛᲮᲠᲘᲕ, ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲔᲑᲡ ᲡᲠᲣᲚᲐᲓ ᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲡ, ᲗᲣᲜᲓᲐᲪ ᲘᲛ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲓᲐᲜ �გᲐᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ, ᲠᲝᲛ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲡᲐᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲝ ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲛᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡ, ᲡᲐᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲢᲣᲠᲘ, ᲡᲬᲝᲠᲔᲓᲐᲪ ᲠᲝᲛ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲘᲡ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘᲐ.

დიახ, დემოკრატიის მაჩვენებელი, მაგრამ იმ სიტუაციაში, რომელშიც დღეს საქართველოა, სადაც ე.წ. „მთავარ ოპოზიციურ ძალას“ მკვლელებისა და მოძალადეების პარტია წარმოადგენს, სადაც ე.წ. „სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა“ ამ მოძალადეთა იდეური მხარდამჭერების ხელშია, იმ მხარდამჭერებისაც, რომლებიც თავიანთი მენტალობითა და მისწრაფებით სრულიად ამახინჯებენ ჭეშმარიტ, ცივილიზებულ ღირებულებებს და საზოგადოებას თავს ახვევენ იმ ფასეულობებს, რომლებიც აბსოლუტურად მიუღებელია ნებისმიერი განვითარებული სახელმწიფოს მოქალაქეებისთვის, სადაც ე.წ. „მთავარი საინფორმაციო ტელეარხი“ მოძალადეთა პროპაგანდის განყოფილებაა, დღევანდელი არჩევნების მთავარ შემახილად, ისევ ერეკლე მეორის საბრძოლო ყიჟინა — ჰკა, მაგ წუნკლებსა! რჩება.

წუნკალი — წუწკი, ბოროტი ავისმქმნელი (ჯავახური ლექსიკონი).

ეს ჯავახური სიტყვა სრულად შეესაბამება იმ პოლიტიკურ ძალას, რომელიც საქართველოს მოსახლეობის თავზე მოხვეული ე.წ. კოჰაბიტაციის გამო, აღუსრულებელი სამართლის და დაუსჯელი დამნაშავეების გამო, ქვეყნის მოღალატეებთან ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის კეკლუცობის და მათდამი მონური შიშის გამო, ქვეყნის პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურში გავიდა და გამარჯვებამდე სულ მცირე ნაბიჯი აშორებთ.

იმ მიზეზებზე, რამაც საქართველო ამ ვითარებამდე მიიყვანა, ბევრი რამ ითქვა, ბევრიც დაიწერა. ჩვენი გაზეთი მუდამ აშუქებდა იმ ამაზრზენ წინა საარჩევნო პერიოდს, იმ უშავეს პიარ-კამპანიას, რაც წუნკალმა პოლიტიკურმა ძალამ ქართველ ხალხს თავს მოახვია.

ამიტომ ამაზე დღეს წერა ზედმეტად მიმაჩნია, ხოლო არჩევნების ჩემეულ ანალიზს რამდენიმე დღეში შემოგთავაზებთ, მაგრამ იმას კი აუცილებლად ვიტყვი, რომ პირველ ტურში მმართველი ძალის დამარცხება (დიახ, სწორედაც რომ დამარცხება, რადგანაც თითქმის ერთპროცენტიანი სხვაობა, ნამდვილად დამარცხებაა), ხალხისთვის და თავად მმართველი პოლიტიკური გუნდისთვის, ხალხის მხრიდან საჭირო შემოლაწუნება იყო.

რომ არა ბიძინა ივანიშვილი, დარწმუნებული ვარ, რომ მმართველ გუნდში „მოფუსფუსე ლიდერები“, რომელთა „მუხლჩაუხრელმა შრომამ“ არა მხოლოდ მათი პარტია, არამედ მთელი საქართველო კრახის წინაშე დააყენა, ამ დამარცხებასაც „გაატარებდნენ“ და რაღაც პოლიტკორექტული ფრაზებით „შეფუთავდნენ“.

ბიძინა ივანიშვილმა კი ნათლად დაინახა ის ტყუილები, რომლითაც ამდენი ხანი კვებავდნენ როგორც პარტიას, ასევე ხალხს და ეს პირად შეურაცხყოფად მიიღო.

როგორც იცით, ივანიშვილი ასეთ „გადაცდომებს“არავის პატიობს.

ᲒᲐᲒᲘᲙᲕᲘᲠᲓᲔᲑᲐᲗ ᲓᲐ „ᲓᲘᲓᲘ ᲒᲐᲛᲝᲤᲮᲘᲖᲚᲔᲑᲐ“ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ. ᲢᲔᲚᲔᲔᲙᲠᲐᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲤᲐᲫᲢᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓ ᲒᲐᲫᲠᲐ „ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲐᲓ ᲛᲐᲢᲧᲣᲐᲠᲐ“ ᲮᲐᲚᲮᲘ. „ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ“, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ, „ᲗᲣᲠᲛᲔ“ ᲣᲐᲛᲠᲐᲕᲘ ᲠᲐᲛ ᲒᲐᲙᲔᲗᲓᲐ ᲓᲐ ᲙᲔᲗᲓᲔᲑᲐ. ᲨᲕᲔᲑᲘᲗ ᲐᲛᲝᲘᲡᲣᲜᲗᲫᲐ 600000 ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲛᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲔᲪᲐᲗ.

ᲐᲑᲡᲝᲚᲣᲢᲣᲠᲐᲓ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ, ᲠᲝᲛ ᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲛᲐ ᲘᲗᲮᲝᲕᲐ, ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲑᲔᲕᲠ ᲠᲐᲛᲔᲡ ᲨᲔᲪᲕᲚᲘᲡ ᲫᲕᲔᲚᲐᲜᲐᲨᲘ.

და ერთ-ერთი უმთავრესი მოვლენა: მოხდა ლუსტრაცია და დაფიქსირდა კონსტრუქციული და რეალური ოპოზიციური ძალა — საქართველოს „პატრიოტთა ალიანსი“.

ძალა, რომელიც არა ჩასაფრებულის პოზიციიდან იხედება, არამედ რეალური დიალოგის, მსჯელობისა და პოლიტიკური კრიზისიდან გამოსვლის გზის მოძებნის რეჟიმში მუშაობს.

ამისთვის კი 23 და 25 ნოემბერს გამართული აქციებიც კმარა.

ბევრი რამ დაიწერა ამ აქციებზე და გაშუქდა კიდეც. ამ გაშუქებებმაც საკმაოდ საინტერესო ხასიათი მიიღო და მიუხედავად იმისა, რომ ყველამ ყველაფერი კარგად ვიცოდით, ე.წ. „ჟურნალისტთა კორპუსის“ სრული ლუსტრაციაც მოხდა.

„რ2“-ს ისე შეეშინდა ბათუმის 23 და თბილისის 25 ნოემბრის აქციების, რომ უზარმაზარი სიუჟეტები „მიუძღვნა“ „პატრიოტთა ალიანსს“. გაიკვანძნენ და 23-ში სალომე სამადაშვილმა „რუსული ნარატივი“ „იყნოსა“. ეს აქციები აუცილებელი იყო.

აუცილებელი თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ვამპირებმა იგრძნეს ხალხის ძალა. იმ ხალხის, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ არ არიან „პატრიოტთა ალიანსის“ წევრები, მაგრამ ბოკერია-სააკაშვილის რეჟიმის მიმართ რეალური პოზიცია და რეალური დამოკიდებულება აქვთ.

25-ში კი ბოლო გაფართხალება ჰქონდათ. ამ „ფართხალის“ დროს კვლავ „რუსულ პონტს“ მიაწვნენ და როგორც წესი, კვლავ პუტინის მსახვრალი ხელი „აღმოაჩინეს“. არ შემიძლია არ ვთქვა, რომ „პატრიოტთა ალიანსისთვის“ და განსაკუთრებით ადა მარშანიასთვის რუსული ნარატივის დაბრალება სრული სისულელეა, თუნდაც იმ მეორე უმარტივესი მიზეზიდან გამომდინარე (პირველი ქალბატონი ადა მარშანია და მისი ბიოგრაფიაა), რომ ნაცების ნგრევა ევროპულ სტრუქტურებში „პატრიოტთა ალიანსის“ მიერ გატანილი მტკიცებულებებით მოხდა.

რაც შეეხება „პატრიოტთა ალიანსის“ მიერ აფხაზებთან, ოსებთან პირდაპირ დიალოგს, ვიტყვი, რომ ეს არის ის ნაბიჯი, რისკენაც ევროპელი ლიდერები მუდამ მოგვიწოდებდნენ (ისევ უმარტივესი — თუნდაც 2008 წელს „გამარჯვებული მთავარსარდლის“ მისამართით ნიკოლა სარკოზის მიერ გაკეთებული განცხადებები).

და კიდევ მრავალი ნიუანსი, რომლებსაც ნორმალური და არა გულის ჯიბეში მიჰას სურათიანი „ექსპერტი“ გაკეთებს.

როგორც ზევით აღვნიშნე, სხვა სრული სერიოზულობით ვეკითხები ჩემს კოლეგებს: როგორ შეიძლება, რომ ეს ე.წ. „გავლენიანი არასამთავრობო ორგანიზაციის“ წარმომადგენლები სერიოზულად აღიქვა და მათ ხმამაღლა, მთელი ქვეყნის გასაგონად „ავტორიტეტული“ უწოდო?

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ ᲔᲚᲐᲰᲐᲠᲐᲙᲝ ᲮᲐᲚᲮᲡ, ᲐᲠᲐ ᲗᲣ ᲠᲐᲘᲛᲔ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ, ᲐᲜ ᲕᲐᲠᲐᲣᲓᲘ ᲒᲐᲛᲝᲐᲗᲫᲛᲔᲕᲘᲜᲝ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ ᲔᲚᲐᲰᲐᲠᲐᲙᲝ ᲗᲣᲜᲓᲐᲪ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚ ᲐᲛᲘᲜᲓᲖᲔ, ᲕᲘᲜᲪ ᲐᲛ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲓᲦᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ, ᲔᲬ. „ᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲣᲠᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲧᲝᲓᲔᲑᲔᲚ ᲬᲧᲐᲠᲝᲡᲗᲐᲜ“ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ, ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲘᲓᲘᲝᲢᲘᲖᲛᲘ ᲐᲩᲕᲔᲜᲔᲡ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐᲪ ᲛᲗᲕᲠᲐᲚᲘ ᲙᲚᲝᲣᲜᲔᲑᲘᲗᲘᲗ ᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲔᲜ ᲗᲐᲕᲡ.

როგორ შეიძლება, რომ ამ მართლა მთვრალ კლოუნებს ნებისმიერ საკითხთან მიმართებაში აზრი ჰკითხო? ნუთუ გგონიათ, რომ ტელემაყურებელი დებილია და ვერ ხვდება, თუ ვის უნდა უსმინოს? რატომ აყენებთ შეურაცხყოფას საქართველოს მოსახლეობას? ნუთუ თვლით, რომ მაყურებელი ვალდებულია, რომ თქვენგან დარქმეული თიკუნები — გავლენიანი, ავტორიტეტული, მწერალი, ვარსკვლავი დ.ა.შ. აღიქვას როგორც უტყუარი ჭეშმარიტება, თავის თავში ჩაახშოს რეალობა და თქვენს მიერ მითითებულ გზაზე გადავიდეს?

ᲐᲮᲚᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲕᲔᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ ᲮᲐᲚᲮᲡ: ᲐᲠ ᲛᲝᲒᲬᲧᲘᲜᲓᲐᲗ ᲔᲡ ᲡᲘᲡᲣᲚᲔᲚᲔᲔᲑᲘ? ᲐᲠ ᲛᲝᲒᲬᲧᲘᲜᲓᲐᲗ ᲘᲛ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲒᲐᲤᲔᲗᲘᲨᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲘᲡᲔ ᲓᲐᲒᲪᲘᲜᲘᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲐᲛᲐᲡ ᲗᲐᲕᲐᲓᲐᲪ ᲕᲔᲠ ᲮᲕᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ ᲛᲬᲘᲠᲘ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲬᲘᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ.

არჩევნებამდე სამი დღე დარჩა. სოლომონ ბრძენის ბეჭედზე იყო წარწერა — „ესეც გადაივლის!“

გადაივლის, მაგრამ ის მარაზმი, რასაც ყოველდღე ტელევიზიებში ვხედავთ, მანამდე დარჩება, სადაც ე.წ. „ბაზრის მოთხოვნა“ გემოვნების მხრივ არ გაიზრდება.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, პირდაპირ ვიტყვი, რომ დღეს დიდი ბრძოლის და გამოცდის დღეა. დღე, როცა ყველამ სავარძლებიდან ერთი ადგილი ავწიოთ, ცოტა ხნით მოვწყდეთ ტელევიზორებს, ან ტუჩთან მიტანილ ღვინის ჭიქას, მივიდეთ საარჩევნო ყუთებთან და ვთქვათ — ჰკა, მაგ წუნკლებსა!

ᲒᲘᲐ ᲒᲐᲑᲠᲘᲭᲘᲫᲔ

ვთქვათ და შევასრულოთ, რადგანაც წუნკლების დრო კარგა ხანია დასრულდა!

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲩᲐᲜᲡ, „ᲰᲐᲑ ᲯᲝᲠᲯᲘᲐᲡ“ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲗ ᲣᲙᲐᲜ ᲛᲓᲒᲐᲠᲘ ᲞᲘᲠᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲘᲪᲜᲝᲑᲔᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲐᲕᲘᲐᲪᲘᲝ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო არ ადასტურებს არასამთავრობო ორგანიზაცია „ჰაბ ჯორჯიას“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციას. სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ ხელისუფლება არ აპირებს WizzAir-ის საქმიანობაზე შეზღუდვის დაწესებას.

ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია მსგავსი დეზინფორმაციის ტირაჟირება, რომელიც მიზნად ისახავს მოსახლეობის სიცრუეში შეყვანას, დესტაბილიზაციას და ვნებს და აზარალებს არა მხოლოდ ერთი კონკრეტული კომპანიის ინტერესებს, არამედ უარყოფითად მოქმედებს ბიზნეს გარემოზე საქართველოში, ვნებს თითოეული მოქალაქის ინტერესებს.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ „WizzAir“-ის საქმიანობაზე შეზღუდვის დაწესება არ იგეგმება და არც არასდროს დამდგარა დღის წესრიგში. პირიქით, ხდება „WizzAir“-ის საქმიანობის ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან, კომპანია წლიდან წლამდე ფართოვდება, რაც მომავალშიც გაგრძელდება.

საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის საავიაციო მიმოსვლა ხორციელდება საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2010 წელს გაფორმებული შეთანხმებით „ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ“. აღნიშნული შეთანხმების მიზნებიდან გამომდინარე, გამარტივებულია ქვეყნებს შორის საავიაციო ბაზარზე დაშვების პროცედურები, იგი ემყარება ლიბერალურ პრინციპებს, რაც გულისხმობს იმას, რომ არ არსებობს შეზღუდვები ავიაკომპანიების რაოდენობაზე, ფრენის სიხშირეებზე, ტარიფებზე, საჰარო ხომალდის ტიპებზე და დანიშნულების პუნქტებზე. საჰაერო მიმოსვლა შესაძლებელია შეუზღუდავად ევროკავშირსა და საქართველოს ნებისმიერ საერთაშორისო აეროპორტს შორის.

დღეისათვის საქართველოსა და ევროკავშირს შორის საჰაერო მიმოსვლას ახორციელებს ორი ქართული და ექვსი ევროპული ავიაკომპანია — ევროპის 16 ქვეყანაში 35 მიმართულებით.

რაც შეეხება ამავე არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ გაჟღერებულ ინფორმაციას ქართული ავიაკომპანია „Myway Airlines“-სთვის რუსეთის მიმართულებებზე სიხშირეების არ მინიჭების შესახებ, ეს ცნობაც სრული სიცრუეა.

საქართველოსა და რუსეთს შორის საჰაერო მიმოსვლის შეთანხმების შესაბამისად სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ „Myway Airlines“-ი დანიშნულია რუსეთის ფედერაციის ხუთი მიმართულებით. დღემდე აღნიშნულ ავიაკომპანიას სიხშირეების მინიჭების შესახებ განაცხადი სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში არ წარმოუდგენია.

სამწუხაროდ, „ჰაბ ჯორჯია“ ხშირად მიმართავს დეზინფორმაციას, რითაც შეგნებულად შეცდომაში შეჰყავს ფართო საზოგადოება საქართველოში მიმდინარე სატრანსპორტო-ლოგისტიკური წარმატებული პოლიტიკის შესახებ. ამასთან, ხაზი გვინდა გავუსვათ „ჰაბ ჯორჯიას“ არაპროფესიონალიზმს, რაც კარგად ვლინდება მათ მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

◎ ვულოცავთ!

გურამ ალექსიძე ევროპამ აღიარა

საქართველოს **სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ევროპის სოფლის მეურნეობის, სურსათისა და ბუნებათსარგებლობის აკადემიების კავშირის წევრია 2015 წლიდან.**

2018 წლის 22-23 ნოემბერს იტალიის ქალაქ ფლორენციაში გაიმართა გენერალური ასამბლეა, სადაც ევროპის სოფლის მეურნეობის, სურსათისა და ბუნებათსარგებლობის აკადემიების კავშირის ვიცე-პრეზიდენტად არჩეულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გურამ ალექსიძე**.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, პროფესორი გურამ ალექსიძე არის ცნობილი მეცნიერი საქართველოში და საერთაშორისო მეცნიერულ ასპარეზზე, მის მეცნიერულ კვლევებზე დაყრდნობილი შრომები კარგად არის ცნობილი ჩვენში და საზღვარგარეთ, მათ შორის მაღალრეიტინგულ ინფაქტფაქტორიან გამოცემებში.

მას გამოქვეყნებული აქვს 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის, 17 წიგნი და 10-ზე მეტი ბროშურა, მათგან 80-ზე მეტი საერთაშორისო გამოცემებში. აკადემიკოსი გურამ ალექსიძის შრომები ძირითადად ეხება სასოფლო-სამეურნეო კულტურების (ვაზის, ხეხილის, ციტრუსების და სხვა) მავნებელ-დაავადებებთან ინტეგრირებულ დაცვას. ის არის ამ მიმართულების ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში. მისი ავტორობით დღესაც მიმდინარეობს კვლევები აგროცენოზებში გავრცელებული მავნე და სასარგებლო მწერების (ტკიპების) ურთიერთდამოკიდებულებაში მათემატიკური მოდელირების სისტემების გამოყენებაზე. ამ მიმართულებით ის ერთ-ერთი პიონერია მცენარეთა დაცვაში არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც.

წლების მანძილზე აქტიურ და ნაყოფიერ თანამშრომლობას ეწევა ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, როგორიცაა: CACAARI (ცენტრალური აზიისა და კავკასიის ქვეყნების სამეცნიერო კვლევითი ორგანიზაციების ასოციაციის თავმჯდომარე), CGIAR, FAO, ICARDA, CIMMYT, Bioversiti InterneiSenel, TAP.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია პროფ. ალექსიძის ხანგრძლივი და ნაყოფიერი პედაგოგიური მუშაობა ქვეყნის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 20-მდე სადოქტორო დისერტაცია, მათ შორის არიან უცხოელი სპეციალისტებიც.

ვულოცავთ გამოჩენილ ქართველ მეცნიერს ამ მნიშვნელოვან საერთაშორისო აღიარებას.

თბილისის ეკოლოგიური და სოციალური გარემოს გაუმჯობესებისთვის EBRD-ი 15 მლნ ევროს გამოყოფს

გუშინ საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ივანე მაჭავარიანმა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) რეგიონულმა დირექტორმა კავკასიაში, მოლდოვასა და ბელარუსში ბრუნო ბალვანერამ ხელი მოაწერეს „თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის“ სასესხო შეთანხმებას.

დოკუმენტი ითვალისწინებს 15 მლნ ევროს ოდენობის ფინანსური რესურსის გამოყოფას ქალაქ თბილისის მყარი ნარჩენების მართვის მიზნით. კერძოდ, აღნიშნული თანხა მოხმარდება შპს „თბილსერვის ჯგუფის“ ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასა და სათანადო ტექნიკის შესყიდვას. პროექტს ექნება მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი ეფექტი და მოემსახურება ეკოლოგიური და სოციალური გარემოს გაუმჯობესებას.

პროექტის ფარგლებში, გაფორმდა საპროექტო და მხარდამჭერი ხელშეკრულებები, რომელსაც ხელი მოაწერეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, მაია ბითაძემ, შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დირექტორმა ლევან ჯღარკავამ და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის რეგიონულმა დირექტორმა კავკასიაში, მოლდოვასა და ბელარუსში ბრუნო ბალვანერამ.

დღეის მდგომარეობით, EBRD-ის მხრიდან საქართველოსთვის გამოყოფილი დაფინანსების ოდენობა 200-ზე მეტი პროექტის განსახორციელებლად, დაახლოებით 3 მილიარდი ევროა, საიდანაც 90% მიმართულია კერძო სექტორის განვითარებისკენ.

სესხების განულებით ხელისუფლებამ ცხადყო, რომ არასწორ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას ატარებდა

„პრაქტიკულად, ხელისუფლებამ აღიარა, რომ წლების განმავლობაში არასწორი ეკონომიკური (პირველ რიგში, არასწორი ფულად-საკრედიტო) პოლიტიკა ტარდებოდა, რის გამოც ასეულობით ათასი ადამიანი უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა“, — ასე აფასებს ფინანსისტი **თემურ ბასილია** ხელისუფლების გადაწყვეტილებას, 600 000-ზე მეტ ადამიანს სესხები გაუნულოს.

როგორც ბასილია განმარტავს, ადამიანების უმძიმეს მდგომარეობაში ყოფნა და არასწორი ეკონომიკური პოლიტიკა სააკაშვილის რეჟიმის პირობებში დაიწყო და, სამწუხაროდ, ხელისუფლების შეცვლის მიუხედავად, კვლავაც გრძელდებოდა.

კითხვაზე, ხომ არ არის ეს გადაწყვეტილება ამომრჩევლის მოსყიდვა, ბასილია აღნიშნავს, რომ თავად ასეთი კითხვის გაჩენა არ არის კარგი, რადგან, ეს, პირველ რიგში მიუთითებს, რომ ხელისუფლებამ ვერ შეძლო ასეთი კარგი გადაწყვეტილების სათანადოდ მიწოდება საზოგადოებისთვის: არ ყოფილა ახსნილი, ეს არის ეკონომიკური, სოციალური თუ წმინდა კომერციული პროექტი.

ბასილიას განმარტებით, თუ, ეს არის მხოლოდ სოციალური პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად დაზარალებული ასობით ათასი ადამიანის ნაწილობრივ კომპენსაციას, შესაძლოა, რომ ასეთი კითხვა გაჩნდეს. მით უმეტეს, თუ ეკონომიკურ პოლიტიკაში არ არის მოსალოდნელი ფუნდამენტური ცვლილებები. მხოლოდ სესხების აღებაზე რეგულაციების გამკაცრება ამ პრობლემას ვერ აღმოფხვრის, რადგან თუ პრობლემის მიზეზი — არასწორი ეკონომიკური პოლიტიკა არ შეიცვლება ფუნდამენტურად, იგივე პრობლემა დადგება რამდენიმე თვეში. ამიტომაც, ბასილიას მოსაზრებით, კარგი იქნებოდა თუ, ხელისუფლება განაცხადებდა, რომ მათ დაგეგმილი აქვთ სერიოზული ცვლილებები ეკონომიკურ პოლიტიკაში, რამაც აღარ უნდა დაუშვას მოსახლეობის ხელახალი გაღატაკება და ჭარბვალიანობა.

გარდა ამისა, არის კიდევ ორი, ძალიან მნიშვნელოვანი თემა, რომელზეც არავის უსაუბრია:

1. ხომ არ არის ეს გადაწყვეტილება რთულ ფინანსურ მდგომარეობაში მყოფი საქართველოში მოქმედი ბანკებისთვის დახმარება? უკვე კარგა ხანია ვსაუბრობთ, რომ კომერციულ ბანკებს აქვთ ლიკვიდობის პრობლემა, რის გამოც ეროვნული ბანკი იძულებულია, მათ მისცეს ე.წ. რეფინანსირების სესხები, დაახლოებით მილიარდნახევარი ლარის ოდენობით.

მაგრამ მდგომარეობა იმდენად რთულია, რომ ბანკებში არსებული პრობლემის მოგვარებას ეს აღარ ჰყოფნის. ამიტომაც, უკვე რამდენიმე თვეა, ამ მიზნით ბიუჯეტის თანხების გამოყენებაც ხდება. ცხადია, რომ ამ გადაწყვეტილებით ბანკები გათავისუფლდებიან მათთვის უიმედო სესხებისგან და სანაცვლოდ მიიღებენ რამდენიმე ასეულ მილიონ რეალურ (და არა ქაღალდზე არსებულ) ლარს, რაც შეუმსუბუქებს მათ ლიკვიდობის პრობლემებს.

2. ხომ არ არის ეს წმინდა კომერციული პროექტი? რეალობა არის, რომ „ბანკი ქართუ“ სერიოზული დისკაუნტით ყიდულობს სხვა ბანკებისა და დაწესებულებებისგან დაბალი საიმედოობის მქონე სესხებს. ამ გადაწყვეტილებით მათ შეუძლიათ მოიზიდონ რამდენიმე ასეულ ათასი ახალი კლიენტი. ეს სრულიად კანონიერი მოქმედებაა, რაც შესაძლოა, საკმაოდ კარგად გათვლილი სტრატეგიაც იყოს, რომელიც შესაძლოა, ემსახურებოდეს „ბანკ ქართუს“ ძლიერ საფინანსო დაწესებულებად ჩამოყალიბებას“, — აღნიშნავს ბასილია.

„კომერსანტის“ კითხვაზე, ხომ არ გახდება მთავრობის ეს გადაწყვეტილება იმის რისკი, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში ადამიანები აღარ გადაიხდიან არსებულ სესხებს იმის იმედით, რომ „ხვალ მათ ვიღაც“ გაუნულებთ ამ სესხს, ბასილია აცხადებს, რომ ამის საშიშროება ყოველთვის შეიძლება არსებობდეს, თუმცა, იმისათვის, რომ ასეთი მოლოდინი შემცირდეს, უმთავრესია, პოლიტიკური ნება, რომ არსებული არასწორი ეკონომიკური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა შეიცვალოს ახალი პოლიტიკით, რომელიც მიმართული იქნება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, რომლითაც ყველა მოქალაქეს შეეძლება სარგებლობა.

როგორც ცნობილია, მთავრობის გადაწყვეტილებით, საქართველოს 600 ათასზე მეტ მოქალაქეს ბანკების, ონლაინ ორგანიზაციების და სხვა საფინანსო ინსტიტუტების მიმართ დავალიანება გაუნულდებათ. საქართველოს პრემიერ-მინისტრის მამუკა ბახტაძის განცხადებით, **ვალების განულების პროცესი დაიწყება 15 დეკემბერს და 31 დეკემბრამდე დასრულდება.**

ამასთან, როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, **ვალების განულების პროცესი ფონდ „ქართუს“ მხარდაჭერით განხორციელდება.**

რაც შეეხება დღეს არსებულ სტატისტიკას, **2018 წლის სექტემბერში, კომერციულ ბანკებში ვადაგადაცილებული სესხები 6.7 მლნ ლარით შემცირდა და 397.6 მლნ ლარს გაუტოლდა. ეროვნული ბანკის ინფორმაციით, მათი წილი კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელში 1.6 პროცენტი იყო. ვადაგადაცილებული სესხების 51.9 პროცენტი ეროვნული ვალუტით არის დენომინირებული.**

ამასთან, სებ-ის ცნობით, საანგარიშო პერიოდში, მთლიანი საკრედიტო პორტფელის დოლარიზაციის მაჩვენებელი 0.3 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 55.7 პროცენტს გაუტოლდა. რაც შეეხება ონლაინ ორგანიზაციებისა და სხვა საფინანსო ინსტიტუტების მიმართ ვადაგადაცილებულ დავალიანებებს, ეს სტატისტიკა უცნობია.

სოფო ქსოვრელი

გელა ბაბლუანი: ნუ ავიგდებთ მასხრად ემიგრაციაში დაბადებულების „ქართულს“

მკითხველის თხოვნით ვბეჭდავთ ბაბლუანთა სახელოვანი გვარის ერთ-ერთი წარმომადგენლის გელა ბაბლუანის წერილს, რომელიც მან ფეისბუქის პირად გვერდზე ამ რამდენიმე დღის წინათ განათავსა.

...მოგესალმებით მეგობრებო, არასოდეს მიფიქრია სოციალურ ქსელებში ჩართვა და აქტიური კამათი, თავს ვიკავებდი ყოველგვარი კომენტარისაგან, მიუხედავად იმისა, რომ აქტიურად ვადევნებ თვალს მიმდინარე საარჩევნო პროცესს. **ამდენი ზიზღი, ცილისწამება, ყოველ ნაბიჯზე მოღალატის ძახილი, დეფიციტი ყოველგვარი მორალური და ზნეობრივი ღირსების... რომელი ოკუპანტი მოახერხებდა ქართველი საზოგადოების ასე დაყოფას, ამდენი შხამისა და დაუნდობლობის დათესვას?** პატრიოტიზმით აღჭურვილი ნიღბების მიღმა, რუსული პოლიტიკის ძალადობაზე მეტად ერთმანეთი გვძულს ქართველებს, ეს სამწუხაროდ ჩვენი რეალობაა. თუმცა, ამ სიძულვილით დატბორილ ფუნდამენტზე გვინდა ქვეყნის აშენება. წარსულის არასწორმა თუ არარსებულმა ანალიზმა მიიყვანა ქვეყანა ამ მდგომარეობამდე. შეგვწევს კი ობიექტური ანალიზის უნარი, რათა აღარ დავუშვათ იგივე შეცდომები და ჩამოვყალიბდეთ კონსტრუქციული ხვალინდელი დღისათვის? თუ ვეძახოთ ერთმანეთს მოღალატეები და ყოველგვარი გარე ძალების ჩაურევლად მოვუღოთ ბოლო ჩვენს ქვეყანას და დავაბრალოთ მერე საკუთარი უგუნურება სხვას. გუშინდელი დღის სწორად ანალიზი არის ნაბიჯი პერსპექტიული მომავლისკენ, ტოლერანტობა კი ერთადერთი გზა ძალადობის ასარიდებლად. არის თუ არა ზაზა სარალიძე პოლიტიკური მანიპულაციის მსხვერპლი? ან პოლიტიკურად ორიენტირებული? ეს არის მეათეხარისხოვანი იმ უბედურების ფონზე, რაც მან შვილის სიკვდილით განიცადა. არ ღირს არცერთი პოლიტიკური პარტია იმაზე მეტი, რასაც სამართალი ჰქვია. **მე არ მჯერა იმ პოლიტიკური ძალის გულთმისნობის ზაზასთან მიმართებაში, რომელმაც სანდრო გირგვლიანი წამებით მოკლა, როგორც არ მჯერა ამ სახელმწიფო სისტემის სრულყოფილების, რომელმაც მიუხედავად იმისა რომ თავად არ კლავს თავის მოქალაქეებს, ვერ მოახერხა კანონის უზენაესობა და სამართლიანობის სრული აღდგენა.** სახელმწიფო ვალდებულია, იყოს კანონის დამცველი, გარანტორი, ნებისმიერი მშობლის, ადამიანის, მოქალაქის წინაშე. ამ პასუხისმგებლობას არ უნდა გაურბოდეს არსებული სამართალდამცავი სტრუქტურები. კანონის წინაშე უნდა აგონ პასუხი დამნაშავეებმა, ამას ითხოვენ შვილმოკლული მამები და მათი მოთხოვნა უნდა ასრულდეს. ეს არ შეიძლება გახდეს საკამათო საგანი და იქცეს პოლიტიკური ყორნების საჯიჯგნ ლეშად.

ის ხელისუფლება, რომლიც სასტიკად ძალადობდა საკუთარ ხალხზე, ის ტელევიზიები, რომლებიც არ გამოსულან სანდრო გირგვლიანის დედის გვერდზე დასადგომად, დღეს მათ მიერ გაზიარებული სარალიძის ტკივილი არარეალურად მიმაჩნია, როგორც მიხეილ სააკაშვილის ჯადოსნური გაქრისტიანება. ის, ვინც ამ მამების უბედურებით პოლიტიკურ სპეკულაციას ცდილობს, საკუთარი სულის სიმახინჯეს კიდევ ერთხელ ააშკარავებს, მაგრამ ხელისუფლება ამ მამების იგნორით, პოლიტიკური სოვდაგრების მდაბიოებას არ უნდა უტოლდებოდეს. კამათი ომის დაწყებასთან დაკავშირებით ცვლის ჩვენს რეალობას? აუცილებელია სწორად გავარკვიოთ და გავაანალიზოთ ეს ტრაგიკული ისტორიული მოვლენა, რომლის წინაშეც დგას ჩვენი ქვეყანა ოკუპირებული ტერიტორიების დასაბრუნებლად. **„სხვისი შენდამი დამოკიდებულება და აგრესია შეიძლება შენგან დამოუკიდებლად ხდებოდეს, მაგრამ შენს რეაქციასა და პასუხზე უკვე შენ ხარ პასუხისმგებელიო“...** ეს ეხება ყველა ადამიანს და ათმაგად ხელისუფლებაში მყოფთ. ხელისუფლება არის უზარმაზარი პასუხისმგებლობა და არა პრივილეგია, ნამოქმედარზე უპასუხისმგებლობის. რუზველტი ამბობდა: უნიათოები ეძებენ თავის გასამართლებელ მიზეზებს, გმირები კი გამოსავალს პოულობენო. **შეიძლება, ზოგიერთი თქვენგანი არ იყოს პირადი სიმპათიებით განწყობილი სალომე ზურაბიშვილის მიმართ, მაგრამ ვთვლი, რომ მას უნდა მიეცეს საშუალება ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ გამოიყენოს მისი მრავალწლიანი გამოცდილება.** ქართველებმა უნდა დავძლიოთ ერთმანეთის სიძულვილი და ვიპოვოთ გამოსავალი ჩვენი ქვეყნის ჯერ გადასარჩენად, შემდეგ კი ასაღორძინებლად. ქვეყანას სჭირდება შეკრული და ინდივიდუალური პასუხისმგებლობის მქონე ადამიანთა გუნდი, ახალი მუხტი, ახალგაზრდული ძალა, რომელიც აქტიურად უნდა ჩაერთოს თანამედროვე პოლიტიკაში. როდესაც მეთვრამეტე საუკუნეში საქართველოს ედგა უმძიმესი პერიოდი, რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლა ეს არ იყო სურვილი რუსეთის მონობის, არამედ არჩევანი ცუდსა და უარეს შორის ქვეყნის გადარჩენის თვალსაზრისით. გიორგი სააკაძემ საკუთარი შვილი გაწირა საქართველოს კეთილდღეობისთვის. იმ საერო პირებს სამშობლოს სიყვარული და ვაჟკაცობა ამოქმედებდათ. ისინი ღებულობდნენ ქვეყნისათვის „საჭირო გადაწყვეტილებებს“ და არ მოქმედებდნენ პირად ამბიციებსა თუ სურვილებზე დაყრდნობით. **ამბიციებით ქმედება, რომელიც შენს შესაძლებლობებს აღემატება, არის დამღუპველი, განსაკუთრებით პოლიტიკაში. საქართველოს სჭირდება გამაერთიანებელი ძალა და არა რადიკალურად შავ პიარზე აგებული ცეცხლზე ნავთის დამსხმელი მედია.** პოლიტიკური შეხედულებებისგან დამოუკიდებლად მედია ობიექტურად უნდა ცდილობდეს ერის გაერთიანებას და არა მის კატეგორიებად დაყოფას, ჩვენი დაყოფა ეს მტრის სურვილია. თავისუფალი მედია არ უნდა ნიშნავდეს თავისუფლად ცილისწამებას. ქართველი, რომელიც პოლიტიკური შეხედულებების გამო ქართველს გაიმეტებს, არ დაზოგავს, მისთვის მთავარი ვერ იქნება საქართველოს მომავალი, ვერც ქართველობა, ეს აქსიომაა. უზნეობის დასამარცხებლად არსებობს ორი გზა, გავხდეთ უფრო უზნეო, ვიდრე ჩვენი მოწინააღმდეგე, ან მოთმინებით და გონებაგამჭრიახობით ვძლიოთ ის. ადამიანი, რომელსაც სოციალური ქსელში, პირველ გვერდზე უდევს ილია ჭავჭავაძის სურათი, გაფორმებული ცნობილი ილიას ციტატით **„სიკეთით სძლიე შენს მტერსა, ერიდე სისხლით ზღვევასა, სულგრძელობითა ძლევა სჯობს სიბოროტითა ძლევასა“,** არ მესმის, იგივე ადამიანი როგორ ახერხებს კომენტარებში მოუწოდოს, ჩაქოლონ, დახვრიტონ, ჩააძაღლონ – მისი ასე ვთქვათ პოლიტიკურად საწინააღმდეგო აზრის მქონე თანამემამულეები. ამ დამოკიდებულებით ერთმანეთის მიმართ ჩვენ ვერ შევინარჩუნებთ ქართველობას, რომელზეც ასე ვდებთ თავს და რისი სახელითაც ვიბრძვით. მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს არც ერთი მაგალითი, რომ ფანატიზმსა და რადიკალურ დაუნდობლობას, რომელიმე ერი გამარჯვების და ნათელი მომავლის გზაზე დაეყენებინოს. მილიონზე მეტი ემიგრანტია ლუკმაპურის საშოვნელად გადახვეწილი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. ნუ ავიგდებთ მასხრად ემიგრაციაში დაბადებულების „ქართულს“. ჩემს შვილს გიორგი ბაბლუანს, რომელსაც დედა ჰყავს ამერიკელი და ცხოვრობს ამერიკაში, აქვს ინგლისური აქცენტი, როცა ქართულად საუბრობს. აგრეთვე, ჩემი ძმისშვილები, დისშვილები და ბევრი ჩემი ემიგრანტი მეგობრის შვილი აქცენტით ლაპარაკობს ქართულად. ვისაც საკუთარ თავზე არ გამოუცდია და არ იცის, რის ფასად უჯდება ემიგრანტ ქართველ მშობელს მომავალი თაობებისთვის მშობლიური ენის შენარჩუნება, ვთხოვთ, თავი შეიკავონ ცინიზმისგან. **უნდა ვამაყობდეთ და ვამხნევებდეთ ქართველებს, რომლებიც აღიზარდნენ უცხო ენაზე, უცხო კულტურაზე, მაგრამ შეინარჩუნეს ქართველობა და ქართული ენა.** როდესაც არაფერს ვზოგავთ იმისათვის, რომ შვილებს ჩავუნერგოთ საქართველოს სიყვარული, ვასწავლოთ ჩვენი ქვეყნის ისტორია, ქართული წერა-კითხვა და ამ ყველაფრის მერე მათ თუ საქართველოში აქცენტის გამო დასცინებენ, ეს იქნება ყველა ქართველი მშობლის დამცირება და ქართველობის შეურაცხყოფა. ნაციონალურმა მოძრაობამ ხელისუფლებაში მოსვლისას ბევრი დადებითი გააკეთა ქვეყნის წინსვლისათვის, მოიშორა კრიმინალური სამყარო, ჩაატარა უამრავი რეფორმა, საფუძველი ჩაუყარა ეკონომიკის განვითარებას, მრავალ სფეროში შემოიტანა დინამიკა, მაგრამ მან როცა საკუთარი დადებითი ქმედების მაქსიმუმს მიაღწია, იწყო უკუსვლა. ადამიანის ფუნდამენტური ფასეულობების გათელვით იქცა დიქტატორულ სახელმწიფოდ, სადაც მეფობდა ტერორი, კაცის კვლა და უსამართლობა. არამორალურია, მოიაზრებოდეს იმ ხელისუფლების უკან დაბრუნება, რომელიც თავად აღიარებს, რომ სჩადიოდა იმავე ქმედებებს, რასაც ოკუპანტი, ანუ თავად ეწეოდა ოკუპაციას და სახლებს ართმევდა საკუთარ მოსახლეობას (რაც უარესია ოკუპანტის ქმედებაზე). **არცერთი პოლიტიკური ლიდერი არ ღირს ქართველი ხალხის სისხლის ფასად.** ბიძინა ივანიშვილმა ითამაშა გადამწყვეტი როლი ქართველ ხალხთან ერთად ამ რეჟიმის დასამხობად და ეს არის მისი პოლიტიკური მოღვაწეობის ყველაზე დიდი მიღწევა. მაგრამ, სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში აღარ არის ხელისუფლების მიერ მოქალაქეებზე ნადირობა, ბიზნესმენების რეკეტი და არის აზრის გამოხატვის თავისუფლება, ხელისუფლებამ ვერ მოახერხა სამართლიანობის აღდგენა და მრავალი დაპირების განხორციელება. არცერთი სახელმწიფო მოღვაწე საზოგადოებას არ უნდა შორდებოდეს, ხალხის ტკივილი და სოციალური მდგომარეობა თუ სახელმწიფო მოღვაწეთა მთავარი ამოცანა არ არის, მაშინ ისინი ქვეყანას სარგებელს ვერ მოუტანენ. კარდაკარ უნდა იარონ არა მხოლოდ საარჩევნო პერიოდში, არამედ არჩევნების მერეც, **საქართველოში არ უნდა შიოდეს და წყუროდეს არცერთ ადამიანს.** განათლება არის ჩვენი ქვეყნის მომავალი, სწორი დიპლომატია – იმედი ჩვენი ქვეყნის ერთიანობის და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, ჯანმრთელი პოლიტიკა და კანონის უზენაესობა კი სახელმწიფოებრივი სრულყოფილების. „ქართულმა ოცნებამ“ დაუშვა არაერთი შეცდომა, რომელთა გამოსწორება შეიძლება, სწორი გადაწყვეტილებების ხარჯზე, მაგრამ იმას, რასაც ნაციონალური მოძრაობის ქმედებათა შავი სია ჰქვია, ვერაფერი გამოასწორებს. ამდენი განცალკევებული, სხვადასხვა პარტიისა თუ კანდიდატის მხარდამჭერი ღონისძიებების ფონზე, მოვუწოდებდი ყველა ქართველს, არა დამყოფი, არამედ გამაერთიანებელი სახელმწიფოს შენებაში ჩვენი ინდივიდუალური წვლილი შეგვეტანა, ერთმანეთის მიტევებით და ღირსების შენარჩუნებით. ნუ დავაყენებთ ჩვენს პოლიტიკურ შეხედულებებს იმაზე მაღლა, რასაც ქართველობა ჰქვია. ყველა ქართველს ვულოცავ გიორგობის წმინდა დღესასწაულს...

„ქართულმა ოცნებამ“ დაუშვა არაერთი შეცდომა, რომელთა გამოსწორება შეიძლება სწორი გადაწყვეტილებების ხარჯზე, მაგრამ იმას, რასაც ნაციონალური მოძრაობის ქმედებათა შავი სია ჰქვია, ვერაფერი გამოასწორებს.

დრო, მოვასვენოთ ქვეყანა!

ასევე არანაკლებ სისულელეს აფრქვევს „გირჩის“ ერთ-ერთი ლიდერი იაგო ხვიჩია: „ჩემი სხეული ჩემი საკუთრებაა და როგორც მინდა, მას ისე მოვეპყრობიო“. ბატონო იაგო, ვერ მოგართვეს. თქვენ არ შეგიძლიათ თითი მოიჭრათ იმისთვის, რომ ჯარში არ იმსახუროთ, სადაც გინდათ, იქ ვერ იმღერებთ და რასაც გინდათ, იმას ვერ ჩაიცვამთ ქუჩაში და სხვ.

გირჩელები პრიმიტიულ აზროვნებას უნერგავთ ადამიანებს. ვიღაც ბაბუცა პატარაიასთან ერთად ურცხვად დარბიხართ აქციებზე უწმაწურწარწერიანი პლაკატებით: „თავისუფლება ფუჩუს“. დაგროვილ საკაცობრიო ფასეულობებს გვერდს უვლით და გამოჩენილ ფილოსოფოსთა და მოაზროვნეთა შეხედულებებს დრომოჭმულად აცხადებთ. ჯერ კიდევ ლეონარდო და ვინჩი ამბობდა: ადამიანებს რომ შეეძლოთ თავიანთი თავის დანახვა უდიდესი აღტყინების ჟამს, ადამიანთა მოდგმა დაიღუპებოდაო. ახალგაზრდებს კი ჩასჩიჩინებთ, რომ ისინი სრულად თავისუფლები და დამოუკიდებლები არიან თავიანთ ქცევებში, მაგრამ გავიწყდებათ, რომ ამ, მართლაც უაღრესად ფასეულ კატეგორიებს თან ახლავს უფლებები და მოვალეობები. რომაელი მოაზროვნე, იმპერატორ მარკუს ავრელიუსის აზრით, ისევე, როგორც შენ, საზოგადოების წევრი ხარ და მისი ნაწილი, ყოველი შენი მოქმედებაც საზოგადოებრივი ცხოვრების ნაწილი უნდა იყოს, რადგან შენი ნებისმიერი მოქმედება, რომელიც უმეშვეოდ თუ რისამე მეშვეობით არ ამტკიცებს საზოგადო სიკეთეს, ანაწევრებს ცხოვრების მთლიანობას, არღვევს მის ერთობას და შინააშლილობას იწვევს“. ვაჟა-ფშაველას აზრით, „თავისუფლება ამას არ გვიქადაგებს, რომ ყოველი ჩვენი სურვილი, გრძნობა, ყოველი ჩვენი ვნება დავაკმაყოფილოთ წინდაუხედავად“. არანაკლებ, თუ უფრო მეტად არა, საინტერესოა „გირჩის“ კიდევ ერთი ეგზემპლარი ვახტანგ მეგრელიშვილი, რომელიც ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პირველ მოადგილედ მუშაობდა ერთადერთი ნიშნით, „ვარდების რევოლუციაში“ იღებდა მონაწილეობას და მაშინდელი მინისტრის მეგობარიც იყო. ამ თავფქვილა კაცმა სამინისტროში კადრები სულ აურია, უნდა გენახათ, როგორი მცოდნე, პატიოსანი კადრები გაუშვა და ვინ მოიყვანა. უტიფარი და უვიცი ხალხით, ყვარყვარეებით გაივსო სამინისტრო. ეს იყო ნამდვილი 1930-იანი წლები. ამბობენ, რომ იურიდიული დეპარტამენტის თავმჯდომარედ დანიშნა ვიღაც გულიაშვილი, რომელსაც არა თუ იურიდიული, უმაღლესი განათლებაც არ ჰქონდა.

გრიგოლ ვაშაძე და სხვა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებიც 400 ლარ პენსიას ჰპირდებიან ამომრჩევლებს, რაც ყოვლად შეუძლებელია. ჯერ ერთი, ეს საკითხი მთავრობის პრეროგატივაა და არა, პრეზიდენტისა. მეორეც, პენსიის მხოლოდ 10 ლარით გაზრდისთვის წელიწადში თითქმის 90 მილიონი ლარია საჭირო, ხოლო 220 ლარით გაზრდას 2 მილიარდი ლარი სჭირდება, რისი საშუალებაც ხელისუფლებას არ გააჩნია. ამ პრობლემას ის გარემოება კიდევ უფრო ართულებს, რომ დინამიკაში მოსახლეობის დემოგრაფიული დატვირთვის სტრუქტურა მნიშვნელოვნად იცვლება. კერძოდ, 1897 წელს 1000 შრომისუნარიანზე 60 წლის ასაკს გადაცილებული 136 მოხუცი მოდიოდა, 1959 წელს – 184, 1989 წელს – 236, ხოლო 2014 წელს – 361. ახლო მომავალში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის გაზრდის შედეგად კიდევ უფრო საგრძნობლად გაიზრდება ეს მაჩვენებელი და, შესაბამისად, მოხუცთა შენახვაზე გაწეული ხარჯებიც, რაც მძიმე ტვირთად დააწვება ქვეყნის ეკონომიკას. ბოლო ერთი საუკუნის განმავლობაში მოხუცთა რაოდენობა განუწყვეტლივ იზრდება. თუ 1897 წელს 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის რაოდენობა 85 ათას კაცს უდრიდა, 1959 წელს ამ მაჩვენებელმა 310 ათასი კაცი შეადგინა, ხოლო 2014 წელს – 530 ათასი კაცი. მეტად არსებითი მაჩვენებელია ისიც, რომ 1897 წელს ბავშვების რაოდენობა (0-14 წლის ასაკის) 703 ათასით ჭარბობდა მოხუცების (60 წლისა და უფროსი ასაკის) რაოდენობას, 1959 წელს – 741 ათასით, 2002 წელს – 100 ათასით, ხოლო 2014 წელს უკვე მოხუცების რაოდენობა ჭარბობდა ბავშვების რაოდენობას 50 ათასი კაცით, 2015 წელს კიდევ – 69 ათასი კაცით. ეს იმას ნიშნავს, რომ მომავალში ყოველწლიურად საგრძნობლად გაიზრდება პენსიონერთა რაოდენობა და, შესაბამისად, საპენსიო ხარჯებიც. მაგრამ ამით როდი მთავრდება ამ პრობლემის სირთულე. ცნობილია, რომ მოხუცთა მოთხოვნილებები მნიშვნელოვნად სჭარბობს ბავშვთა მოთხოვნილებებს. ერთ-ერთი გაანგარიშებით, მოხუცი ადამიანის მოთხოვნილებები 71 პროცენტით მაღალია ბავშვთა მოთხოვნილებებზე. ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში 75 წლის მოხუცის სამედიცინო მომსახურება 10-ჯერ მეტი ჯდება, ვიდრე 40 წლის ასაკის ადამიანისა. ეს მეტად ანგარიშგასაწევი ფაქტორია, რადგან საქართველოში და თანამედროვე მსოფლიოშიც იზრდება არამწარმოებლური მოსახლეობის ის ნაწილი, რომელთა შენახვა განსაკუთრებით ძვირია.

მედიცინის სფეროში პროგრესი და მისი შედეგების გამოყენება სულ უფრო დიდი რაოდენობით მოხუცი პაციენტების მკურნალობისთვის იწვევს დანახარჯების ზრდას და, მაშასადამე, იმ ფინანსური სახსრების მუდმივ ნაკლებობას, რომელთა შევსება ბიუჯეტიდან ხდება.

აი, ასეთია, ბატონო გრიგოლი, 400-ლარიანი პენსიის ამბავი, რომელიც თქვენ გინდათ ლიტონი სიტყვებით რეალობად მოაჩვენოთ ჩვენს პენსიონერებს და ამ პრობლემის პროგნოზირების უნარი არც თქვენ და არც თქვენ მიერ დაქირავებულ პიარშიკებს არ შეგწევთ.

მეტად დამაფიქრებელი და სამწუხაროა, რომ ზოგიერთი ცნობილი ხელოვანი ვერ გარკვეულა ქვეყნის მეტად საჭირბოროტო პრობლემებში და იმის მაგივრად, რომ იბრძოლოს საზოგადოებაში ნაციონალების მიერ დაგროვილი ჭუჭყის მოსაცილებლად, მთელი არსებით მხარს უჭერს ძალადობასა და არაადამიანობას.

განათლებული საზოგადოებისთვის ძნელი საყურებელია, როგორ დაარბენინებენ სხვადასხვა შეხვედრებზე პაატა ბურჭულაძესა და ნინო ანანიაშვილს გრიგოლ ვაშაძის საარჩევნო შტაბის უფროსი გიორგი ვაშაძე და ახალგამომცხვარი, მაგრამ პირწავარდნილი ნაციონალი თაკო ჩარკვიანი, რომელიც ასაკის მიუხედავად, დაჩიტებას ვერ ეღირსა. ჩემთვის ძნელი ასახსნელია ისიც, რომ ბურჭულაძესა და ანანიაშვილს საზღვარგარეთ თუ ჩვენთან ურთიერთობა აქვთ ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებთან და რით ვერ დააღწიეს თავი საკაშვილის მარწუხებს.

ბატონო პაატა, როდესაც თქვენ ფონდი „იავნანა“ დააფუძნეთ და საქველმოქმედო კონცერტიც გამართეთ, გეწვიეთ ფონდში და ფონდის დირექტორს, ბატონ გურამ ახალაიას წერილიც დავუტოვე თქვენს სახელზე; როგორც დემოგრაფს, მიმაჩნია, რომ, როდესაც ფონდს საკმაო შემოსავალი აქვს, წელიწადში რამდენიმე უბინაოსთვის ბინის მიცემა დემოგრაფია არ გახლავთ. შეიძლებოდა ამ თანხის ბევრად უფრო რაციონალურად გამოყენება. თქვენ ეს წერილი წაგიკითხავთ, გითქვამთ, რომ არ ვიცოდი თუ ქვეყანაში ასეთი მძიმე დემოგრაფიული ვითარება იყოო და ჩემთან შეხვედრაც განგიზრახავთ, მაგრამ, როგორც ჩანს, ვერ მოახერხეთ. აუცილებლად ისიც მინდა გითხრათ, რომ ქართველებს უამრავი დიდი მომღერალი გვყოლია და გვყავს, რომლებიც მსოფლიოს საოპერო თეატრის სცენას ამშვენებენ. ხალხშიც ბევრია საუკეთესო ხმის პატრონი. ერთი დეტალი: გასულ საუკუნეში მწერალი და ხელოვნებათმცოდნე ილია ზურაბიშვილი იგონებს: ვანო სარაჯიშვილის „ურმულიც“ მომისმენია, მაგრამ ისეთი არსად, როგორიც კახეთში, შემთხვევით ურმის კოფოზე მჯდარ მეურმე სესიკაშვილის შესრულებით მოვისმინეო. ამ დეტალის გახსენება იმისთვის დამჭირდა, რომ საუკეთესო მომღერლები ძალიან ბევრი გვყოლია და მომავალშიც გვეყოლება, მაგრამ მთავარია ქვეყნის სატკივარს გაგებით შევხედოთ და ვუმკურნალოთ, სხვა ყველაფერი ამ მაღალ ვალდებულებასთან შედარებით მეორეხარისხოვანია, მათ შორის, თქვენი მსოფლიო ბანობაც.. იგივე მინდა ვთქვა ნინო ანანიაშვილზეც. ბალეტის მოცეკვავეები, მათ შორის, პრიმა ბალერინებიც არ გვაკლია, რომლებიც ახლაც ცეკვავენ მსოფლიოს წამყვანი თეატრების სცენაზე: ქალბატონო ნინო, ის, რომ სააკაშვილთან მირონი გაკავშირებთ და მან ძალიან ბევრი რამეც გაგიკეთათ თქვენი შემოქმედებითი ნიჭის სრულად გამოვლენისთვის, რაც ურჩხულმა წინასწარ სათავისოდ გამიზნულად გათვალა, იმას არ ნიშნავს, რომ შავი და თეთრი ველარ გაარჩიოთ. ის მაინც გახსოვდეთ, რომ მხოლოდ თქვენ არ ხართ ერთადერთი – საქართველო ვერა წიგნაძის, ჯორჯ ბალანჩინისა და ვახტანგ ჭაბუკიანის სამშობლოა და მხოლოდ მოვლენების სწორად შეფასება და ქვეყნისთვის უანგაროდ სამსახურის გაწევა, თქვენს პროფესიულ ნიჭთან ერთად, ყველაზე მეტად აგამაღლებთ.

ჩემთვის და, ალბათ, ბევრისთვის, მართლაც, გაუგებარია, რომ გადამთიელ სანდრა რულოვსს, რომელსაც აბსოლუტურად ფეხებზე ჰკიდია საქართველო და მისი მომავალიც და რომლის დანაშაულზეც ბევრს საუბრობენ, ბათუმში, ზუგდიდსა და წალენჯიხაში ტაშით ხვდებიან, ამ დროს დაუშტვინე ვინმე ლანა ღვინჯილია ერთ-ერთ შეხვედრაზე უნამუსოს უწოდებს პრეზიდენტობის კანდიდატს, ქალბატონ სალომეს. საკითხავია, ეს ჩიტირეკია სად სწავლობდა, რას აკეთებდა, თუ „ჩემი ცოლის დაქალების“ არცერთ სერიას არ ტოვებდა უნახავს. წალენჯიხელებს მინდა ვურჩიო, ნუ ვენდობით ცუღლუტ ევროპელ რძალს, მიამიტურად ნუ შევაფასებთ მის ქართულად საუბარს და მეგრულ სიმღერებს, კარგს არაფერს გადაგვყრის.

როგორც ჩანს, ადამიანებს ახლაც ძალიან უჭირთ გაიცნობიერონ დელფოს ტაძრის წარწერა – იცან თავი შენი. მაგალითად, ზაალ უდუმაშვილმა უცბად მოინდომა „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტობიდან თბილისის მერის სავარძელში ჩაჯდომა, საკითხი პრეზიდენტყოფილთანაც უშუალოდ შეათანხმა, მაგრამ ოცნება ჩაუფლავდა. უმუშევრად დარჩენილს აღარც გვარამია ღებულობს უკან სამუშაოდ. სამაგიეროდ, სადაც ნაციონალების მიერ მოწყობილ აქციას ნახავს, მათ აქციებს კიდევ რა გამოლევს, იქ მათხოვარივით დგას და ელოდება „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტი როდის ჩამოივლის და ჩამოართმევს ინტერვიუს. ბოლო ინტერვიუში ასეთი სიბრძნეც გადმოღვარა: „ოცნებას დღეს დიაგნოზი რომ დავუსვათ, ეს არის აგონიის ბოლო სტადიაო. ზაალ უდუმაშვილს რომ შეხედავ, სერიოზულ კაცს ნამდვილად ჰგავს, მაგრამ უმალ აკაკი წერეთლის სიტყვებიც გაგახსენდება: „ბევრჯერ გამიგონია ჩვენში, ესა და ეს კაცი თავიანიაო, გამიცვნია დაკვირვებით და გამომდგარა, რომ ბოლო თავათ მიუღიათ“.

ზაალ უდუმაშვილისგან არც გიგი უგულავა დგას შორს, რომელსაც დაავიწყდა, რომ ვირის აბანო კაი კაცობისთვის არ უხეხია. მაგრამ რას იზამ, სინდისი ნამეტანი დეფიციტი გახდა დღევანდელ საქართველოში. ახლახან უგულავა სტრასბურგშიც ბრძანდებოდა, თავისი ფიურერიც ნახა და ნოხის კოცნით გაბედნიერდა. ერთმანეთს შეჰფიცეს: მართალია, სხვადასხვა იდეოლოგიურ პლატფორმაზე ვდგავართ, მაგრამ ახლა ერთად უნდა ვიბრძოლოთ „ოცნების“ დასამარცხებლადო, თითქოს, როდისმე ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ.

ჩვენმა ხალხმა დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა ნაციონალების მიერ ერთი კაცის ხუშტურზე დაფუძნებული მმართველობის უაღრესად მახინჯ სისტემას, რომელმაც ქვეყანა პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული და სულიერი უფსკრულის პირამდე მიიყვანა. როგორც ძველი საბერძნეთის უდიდესი მოაზროვნე, დემოკრიტე ამბობს, მსგავსი მსგავსს შეიცნობს, ხოლო ქართველი კაცი იტყვის – ბოროტნი ბოროტს ეძებენ და პრეზიდენტმაც შემოიკრიბა სიმართლესთან დაქვრივებული ადამიანები და შეუდგნენ სოფლის შენებას.

მოკლედ, როგორც რუსთაველიც ამბობს: „მსგავსი ყველანი მსგავსსა შობს“ და დაიწყეს საქმის მაგივრად ენის ტრიალი. მათ, როგორც ჩვენი წინაპრები იტყოდნენ, „სიტყუაი დამპალი“ და „უქმსიტყვაობაი“ უყვარდათ და ლაპარაკად იყვნენ სათავისოდ გადაქცეულნი. მე მათ დავარქმევდი „ენამანქანა“ ადამიანებს, როგორც ეს აღნიშნულია მე-11 საუკუნის ერთ-ერთ ლიტერატურულ ძეგლში, რომლებიც არაფრად ფასობდნენ, მაგრამ მათი „სიტყუაი დამპალი“ საშინელ ჭირად შეეყარა ქვეყანას, რომლისგანაც ახლაც სრულად ვერ გავთავისუფლებულვართ. თუ ისევ რუსთაველს მოვუხმობთ: „ავსა კარგად ვერვინ შესცვლის, თავსა ახლად ვერვინ იშობს“. ასეთი არის ვითომ ვარდებით მოსული ბოროტი ყვავილების ნამდვილი სახე, რომელთაც ეგონათ „რევოლუციაზე ლოგინი ჰქონდათ დაგებული“ და რამდენიმე წელი კიდევ იპარპაშებდნენ.

ძველი ბერძენი ფილოსოფოსი პითაგორა ამბობდა: „რაც არ უნდა მოკლე იყოს სიტყვები ჰო და არა, ისინი მაინც მოითხოვენ სერიოზულ დაფიქრებას“.



ანზორ თოთაძე,
დემოგრაფი, პროფესორი

P. S.

სააკაშვილის და მისი ამფსონების ფართხალს ბოლო უნდა მოეღოს, მით უმეტეს, კარგა ხანია, ასეთი განაჩენი ხალხმა გამოიტანა.

„ქუჩარა – დრო კია, მამამისი წყვიწყვი შავს იკერავდეს.

კაკუტა – კი, კი, ზარალი გამოუვიდა...

მე-3 ტუსაღი – რადგან ზიანს ვერავის მოუტანს, იაროს და იჩერჩეტოს, რა გვენაღვლება!“

პოლიკარპე კაკაბაძე. ყვარყვარე თუთაბერი

დასასრული. დასაწყისი იხ. №237-240



ზაურ კალანდია:

ერთი ურემი ხმა რომ მქონდეს, ვაშაძეს ერთს არ ვუწილადებდი...

შორიდან დავიწყებ:

გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისის პირველი საპროტესტო აქციის მონაწილე ვარ.

მას მერე მიტინგები თითქმის არ გამიცდენია.

აქვე ვიტყვი: ცუდია, რომ ლუსტრაციის კანონი არა გვაქვს მიღებული. უფრო ცუდია და სირცხვილიც, რომ ვერც ერთმა ხელისუფლებამ ეს ვერ გაბედა!

9 აპრილის შემდეგ ყველაზე სამარცხვინო და ქვეყნისთვის გამანადგურებელი რბევა, ალბათ, 2007 წლის 7 ნოემბრი იყო.

დილით ტელევიზორი ჩავრთე...

სასწაულები მესმის, საშინელებები ხდება...

არ მახსოვს, რით და როგორ მივედი.

ქაშუეთის წინ ვდგავარ და კიდევ არ მჯერა, რაც ხდება...

გაშეშებული ვარ ჩემი ასაკისა და ჭაღარის იმედად...

უცებ დავინახე, სამი ნიღბოსანი მორბის ჩემკენ...

შევბრუნდი, ვიკადრე გაქცევა... ერთი და ორი ხელჯოხი კი არა, გვარიანად მომხვდა ბეჭებში, მარჯვენა ხელი საფეთქელზე ავიფარე და... თითქოს მაჯა წამაცალეს, ერთბაშად მარცხენა მუხლი ბეტონს დავკარი, ეკლესიის შიგნით შევგორდი. რომელიღაც მღვდელმა მტაცა ხელი, წამომაყენა, გრძელ სკამზე დამსვა... სამ-ოთხ წუთში მტევანი გამიშავდა, დამისივდა... ხელისგული გადმომიბრუნეს, სისხლიანი მაქვს, დამსხვრეული ძვალი ლურსმანივით მაქვს ამოსული... უცნობი ქალბატონი ცხვირსახოცით თუ თხელი კაშნეთი მწმენდს სისხლს და მიხვევს...

კარგა ხნის მერე წამოვედი. მშრალ ხიდთან, მშობლიურ „ცისკარში“ ავედი. თანამშრომლები შემომეხვივნენ. დასამშვიდებელ წამლებს მასმევენ, საავადმყოფოში წაყვანა უნდათ. უარს ვამბობ. ერთადერთ სიტყვას ვიძახი – უარესის ღირსი ვარ. რატომ? – უკვირთ. თავს ძლივს ვაბრუნებ: აბა, ამათგან სხვას რას ველოდი?!. მე ხომ ესენი (ნაციონალები) არც მაშინ მიყვარდა, როცა ხელისუფლებაში არ იყვნენ. მაშინაც ვიცოდი, რა ნაგვებიც იყვნენ! – ლამის ვყვირი.

ტაქსი გამოიძახეს. სახლში გამიშვეს.

თითქმის ორი თვე მკლავი ბინტით მეკიდა მკერდზე.

26 მაისის ღამეს, ვინც იქ იყო, ეხსომება, შეღამებულზე, 9-10 საათისთვის საშინელი თავსხმა წვიმა მოვიდა. თავი ვერსად შევაფარე. საშინლად დავსველდი. გადავწყვიტე, უფროს ძმასთან ავსულიყავი ავლაბარში, წელს ზემოთ მაინც გამომეცვალა. იქნებ გაციებას გადავურჩე, – ვფიქრობ. ამ დროს ჩემი უმცროსი, თხუთმეტი წლის ბიჭი მირეკავს, მიტინგზე ხარო? ხო-მეთქი. ახლავე მოდი სახლშიო. მაშინვე გადავწყვიტე შინ წასვლა. დიდი დიღმის ბოლო „მარშრუტკას“ მივუსწარი. სახლში რომ მივედი, კინო „რუსთაველიდან“ უკვე გამოჰყავდათ თავგახეთქილი, ნიკაპდალეწილი, გაფითრებული და დათრგუნვილი ადამიანები...

გადავურჩი!.. – რომელს გადავურჩი, ცემას თუ სიკვდილს, ახლაც არ ვიცი.

ბევრს უთქვამს და მეც გავიმეორებ.

იმ ტრაგიკულ 9 აპრილს რუს ჯარისკაცებს გასაქცევი გზა მაინც არ ჩაუხერგავთ... ქართველმა (!) „ნაციონალებმა“ კი ქართველები პირუტყვებივით სასაკლაოზე შერეკეს და გადარჩენის შანსი არ დაუტოვეს.

ნაცებს სინდისის ნატამალი რომ ჰქონდეთ, არც უნდა ფიქრობდნენ უკან მობრუნებაზე!

ახლა იმას ვიტყვი, ქალბატონი საღომესთვის წინა ტურში ხმა რომ არ მიმიცია!

მიუხედავად იმისა, ბატონ ჯანრის კარგად ვიცნობდი, „ცისკრის“ ხშირი ავტორი იყო. ვახლობლობდით. სტუმრადაც ვყოფილვარ მათ ოჯახში, კარგი ფრანგული ღვინო და ყავაც დამილევია... თუმცა მე ჩემს უახლოეს მეგობარს და გულმართალ ქართველ კაცს, ბატონ თემურ შაშიაშვილს მივეცი ხმა.

ახლახან ქალბატონმა საღომემ ბრძანა – დღეს არის არჩევანი ორ საქართველოს შორისო!

ვეთანხმები.

მხარს ვუჭერ!

მის მოწინააღმდეგეს, ბატონ ვაშაძეს, ერთი ურემი ხმა რომ მქონდეს, ერთს არ ვუწილადებდი. რაც შეეხება ქალბატონ საღომეს, ვპირდები, ათ-თხუთმეტ ხმას ოჯახში და საახლობლო-სანათესავოში მაინც მოვიპოვებ მის სასარგებლოდ!

წინა კვირას ჩემს მშობლიურ ქალაქ ზუგდიდში ვიყავი. ორი-სამი „ბრძოლა... გადავიხადე; ვიფიქრეთ, ვიკამათეთ... დავრწმუნდი, მეგრელები საღად აზროვნებენ და ფიქრობენ. 28 ნოემბერს ისინი სწორ და გონივრულ არჩევანს გაიკეთებენ.

ამ არჩევნებში ერთ სულ მოსახლეზე

1.5-ჯერ მეტი თანხა დავხარჯეთ, ვიდრე ამერიკამ საპრეზიდენტო არჩევნების დროს!!!

...მეორე ტური რომ გარდაუვალი იქნებოდა, ეს ყველა ეგზიტპოლის მონაცემებიდან ჩანდა. 55%-ზე მეტი მაინც უნდა ყოფილიყო რომელიმე კანდიდატის მონაცემი, რათა გარკვეული გარანტიები მიგვეღო! ზოგადად, მიმაჩნია, რომ ზედმეტად „ბევრი ხმაურია არაფრის გამო“. როგორც ჩანს, პოლიტიკურ პარტიებს განსაზღვრული აქვთ, მონიშნონ კონტურები იმ ელექტრონული ძალებისა, რომელშიც მერე გენერალური ბრძოლა უნდა გაუმართონ ერთმანეთს. ვგულისხმობ მთავარ ობიექტს, ანუ საპარლამენტო არჩევნებს. ეს არის ერთგვარი წინასაარტილერიო მომზადება. სხვანაირად ვერ ვხსნი იმ ქმედებებს, რაც დავინახეთ მთელი საარჩევნო პროცესის დროს და უშუალოდ არჩევნების პირველი ტურის დღეს. საპრეზიდენტო პოსტი არ არის ისეთი, რომლისთვისაც ღირდეს ამდენი რესურსისა და ენერგიის გენერირება“...

– ჩვენი და ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნების ღირებულება მოსახლეობის ერთ სულზე რომ გადავიანგარიშოთ (იგულისხმება არამარტო ცესკოს ხარჯები, პარტიების დაფინანსება, შემოწირულობები, არამედ ადმინისტრაციული რესურსებიც), ფაქტობრივად, 1.5-ჯერ მეტი დავხარჯეთ, ვიდრე ამერიკამ. არადა, ამერიკის ეკონომიკა ჩვენზე დაახლოებით 7-ჯერ მეტია და თანაც, საპრეზიდენტო არჩევნები იქ ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე დღეს საქართველოში. ოფიციალური მონაცემებით, ამერიკამ ბოლო საარჩევნო კამპანიაში 2.4 მლრდ აშშ დოლარი დახარჯა“.

სოსო არჩვაძე,
სტატისტიკოსი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს განცხადება

გვსურს, გამოვეხმაუროთ ერთ-ერთი ტელეკომპანიის ეთერში გასულ რეპორტაჟს, რომელშიც საუბარი იყო საბავშვო ბაღებში შესული ხორცის არადამაკმაყოფილებელ ხარისხზე და პროდუქტის სტანდარტებთან შეუსაბამობაზე, რაც არის სრული სიცრუე და კონკრეტული ინტერესების მქონე რამდენიმე პირის უსაფუძვლო ბრალდებებზე დამყარებული განცხადება.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ თბილისის 180-ე საჯარო ბაგა-ბაღში შესული თითოეული სახეობის პროდუქტი აკმაყოფილებს სახელმწიფოს მიერ დადგენილ სტანდარტებს, გადის ყველა მაკონტროლებლის მიერ კანონით დადგენილ შემოწმებას, არის ლაბორატორიულად შემოწმებული, სერტიფიცირებული და, შესაბამისად, სრულიად უსაფრთხო და ჯანმრთელი პროდუქტი.

ამასთან, საჯარო ბაღებში მუშაობს კვალიფიციური პერსონალი, რომელიც პასუხისმგებელია კვების ბლოკის კონტროლზე და მათი მონიტორინგის გარეშე საბავშვო ბაღში არ ხვდება შეუსაბამო ხარისხის საკვები პროდუქტი.

საბავშვო ბაღებში პერმანენტულ მონიტორინგს ახორციელებს უშუალოდ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მონიტორინგის განყოფილება, რომლის მიერ გამოვლენილი დარღვევების შემთხვევაში, მიიღება კანონით გათვალისწინებული ზომები.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მომწოდებელი კომპანიისა თუ მისი კონტრაქტორების მიერ პროდუქტის წარმოება მუდმივად მოწმდება სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ, რაზეც საუბარი იყო ამავე რეპორტაჟში.

ასევე გვინდა ხაზი გავუსვათ იმ ფაქტს, რომ რეპორტაჟის ავტორს არ მიუმართავს თბილისის მერიისთვის ან თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოსათვის აღნიშნულ საკითხის განმარტების მიზნით.

აშკარაა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების, „ანტიკორუფციული კავშირისა“ და „მონიტორინგის ცენტრის“ მიზანს წარმოადგენდა საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი აღსაზრდელების მშობლებში, პანიკის გამოწვევა.

მოვუწოდებთ ყველა მედიასაშუალებას და არასამთავრობო ორგანიზაციას, რომ ნებისმიერი ინფორმაცია, რაც ეხება ამ უაღრესად სენსიტიურ საკითხს, საბავშვო ბაღებს, აღსაზრდელების კვებას, გადაამოწმონ თბილისის მერიის ან საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან და არ შეიყვანონ საზოგადოება შეცდომაში!..

„როგორი იქნება უკრაინის ეკლესიის ბედი — მიიღებს ავტოკეფალურ სტატუსს თუ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მიტროპოლიად დარჩება, ამას მსოფლიო მას შტაბით მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარი აქ სხვაა — ვინც ამ ინტრიგების უკან დგას, მას ისეთი იარაღი აქვს, რომელიც უკვე გამოსცადა და მომავალშიც გამოიყენებს, ვთქვათ, „ფერადი რევოლუციების“ რეცეპტების მსგავსად. ამგვარი სცენარი შეიძლება სხვა მართლმადიდებელ ქვეყნებშიც იქნეს გამეორებული, განსაკუთრებით რუსეთთან ახლოს რომლებიც მდებარეობენ და მოსკოვთან კეთილი მეგობრობის ისტორია აკავშირებთ. ყველგან შეიძლება მოინახოს ადგილობრივი კადრები, რომლებიც ავტოკეფალიის სარჩულით, მზად იქნებიან განხეთილება მოახდინონ თავიანთი ქონებრივი თუ რეიტინგული ამბიციების დაკმაყოფილების მიზნით“ — ასე იწყება რუსული გამოცემის „Комсомольская Правда“-ს მიერ სერგეი სტრელცოვის ავტორობით გამოქვეყნებული სტატია, რომლის ქართულენოვან, მცირედ შემოკლებულ ვერსიას საინფორმაციო პორტალი regionge გთავაზობთ:

მადლობის ნაცვლად

აფხაზმა სასულიერო პირებმა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ ცილისმწამებლური და პროპაგანდისტული კამპანია გააჩაღეს!

ერთ-ერთ ასეთ პოტენციურ კერად შეიძლება აფხაზეთი იქცეს. უკვე რამდენიმე წელია აფხაზური ეკლესია ორ ნაწილადაა გაყოფილი: ტრადიციულ აფხაზურ მართლმადიდებელ ეკლესიად და „რასკოლნიკურ“ „აფხაზეთის წმინდა მიტროპოლიად“, დოროთეს მეთაურობით (ერობაში — დიმიტრი დბარი), რომელმაც კონსტანტინოპოლის პატრიარქ ბართლომესაგან ავტოკეფალური სტატუსის მიღებას ცდილობს.

დოროთემაც და მისმა თანამოაზრე მღვდელმონაზონმა ანდრეიმაც (ერობაში — ანდრია ამპარი), ბერად აღკვეცისა და რუსეთიდან აფხაზეთში დაბრუნების შემდეგ, სადაც მათ განათლება რუსული ეკლესიის სასულიერო სასწავლებელში მიიღეს, თითქმის პირველი დღეებიდანვე საკუთარი კონფესიის წინააღმდეგ გამოსვლები დაიწყეს. სწორედ მათ მოიწვიეს 2011 წელს ახალ ათონში ე.წ. „საეკლესიო-სახალხო კრება“, რომლის შედეგად ე.წ. „აფხაზეთის წმინდა მიტროპოლია“ დაარსდა. დოროთემ და ანდრეიმ დაივიწყეს ის, თუ ვინ მისცა მათ „ცხოვრების საგზური“ და მშობლიური, ანუ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ ცილისმწამებლური პროპაგანდისტული კამპანია გააჩაღეს. დოროთე იმის თქმასაც არ ერიდებოდა, რომ აფხაზეთის ტრადიციული მართლმადიდებელი ეკლესიის ხელმძღვანელს ბესარიონს (აპლია) „მოსკოვის საპატრიარქოსთან დანაშაულებრივი გარიგება აქვს დადებული, რომ აფხაზი ხალხის მთელი საეკლესიო ქონება მიისაკუთროს, ეკლესია-მონასტრების ჩათვლითო“. ამას ამბობდა ის პიროვნება (დოროთე), რომელმაც და რომლის თანამზრახველებმა შვიდი წლის წინათ ახალი ათონის მონასტერი მიისაკუთრეს და თხოვნის მიუხედავად, იქიდან გამოსვლას არ აპირებენ. რაც შეეხება ბესარიონის მიმართ გაჟღერებულ აბსურდულ ბრალდებებს „მოღალატეობის“ თაობაზე, ამ შემთხვევაში „დოროთე და ძმანი მისნი“ ორმაგ ცინიზმს ეწევიან: სწორედ ბესარიონმა მიუძღვნა მთელი თავისი მოღვაწეობა მრევლის მდგომარეობის გაუმჯობესებას, ეხმარებოდა რიგით აფხაზებს და ხელს უწყობდა ეკონომიკური ბლოკადის სიმძიმეების გადატანაში. სხვათა შორის, შორეულ 1992 წელს სწორედ ბესარიონის მცდელობის შედეგად გაიგზავნნენ თვითონ დოროთე და ანდრეი მოსკოვში სასწავლებლად...

ის, რაც დღეს ხდება ახალი ათონის მთავარ ტაძარსა და მონასტერში, რომლის რესტავრაციაზე გასული საუკუნის 90-იან წლებში რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ დიდი თანხები დახარჯა, ან რა დაემართათ მსოფლიოში ცნობილ უნიკალურ ფრესკებს, ზუსტად არავინ იცის. სპეციალისტები შიშობენ, რომ შეიძლება ისინი უკვე შეუქცევადად ნადგურდებიან, მაგრამ არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ... ეკლესიათაშორისო უთანხმოების გამო.

უნდა ითქვას, რომ აფხაზეთის ტრადიციული მართლმადიდებელი ეკლესია ერთგვარ გაორებულ მდგომარეობაში იმყოფება. ერთი მხრივ, ის ორიენტირებულია მოსკოვის საპატრიარქოზე და მას მხარს მრავალ საკითხში უჭერს, მაგრამ, მეორე მხრივ, იურიდიულად, აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციის ქვეშაა და ქართული ეკლესიის კანონიკურ საზღვრებში შედის. სხვათა შორის, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია აღიარებს ამ იურისდიქციას და აფხაზურ მრევლს ქართული ეკლესიის ნაწილად თვლის. „დოროთეს და მის ძმებს“ არც რუსული და ქართული ეკლესიების კეთილი ურთიერთობა არ მოსწონთ, მაგრამ ურთიერთგამომრიცხავ განცხადებებს აკეთებენ: ერთი მხრივ, გაჰყვირიან, „ბესარიონი მოსკოვს მიეყიდა და ყველა ეკლესიის ხელში ჩაგდება უნდაო“ და მეორე მხრივ, „მოსკოვს განზრახული აქვს საქართველოს ჯერ აფხაზების სული მიჰყიდოს, შემდეგ კი მთელი აფხაზეთიო“.

ახალათონელ „ავტოკეფალისტებს“ მოკლე მახსოვრობა აღმოაჩნდათ და სრულიად დაავიწყდათ, რომ არცთუ დიდი ხნის წინათ ისინი თვითონაც ქართველ ღვთისმსახურებთან „იკვებებოდნენ“ და სრულიად იგნორირებენ იმ ფაქტს, რომ ყოველი მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსისა და კანონიკური საზღვრების ცვლილება არ შეიძლება ცალმხრივად მოხდეს, ის მხოლოდ დიალოგის მონაწილე ყველა მხარის თანხმობით უნდა განხორციელდეს. სხვათა შორის, სწორედ ამას აკეთებს კონსტანტინოპოლი, რომელიც კანონიკურ საზღვრებს არღვევს. მისგან განსხვავებით, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია პატივს სცემს ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას და მოსკოვის საპატრიარქოს იურისდიქციას აფხაზეთში ცალმხრივად არ ამყარებს.

მაგრამ „აფხაზეთის წმინდა მიტროპოლიის“ ლიდერებისთვის ეკლესიურ კანონებს მნიშვნელობა არ აქვთ, ისინი ნაბიჯ-ნაბიჯ არღვევენ აფხაზეთის მართლმადიდებლური ცხოვრების მყიფე ბალანსს და საპატრიარქოებს შორის კონფლიქტის პროვოცირებას ახდენენ. ძნელია, ვერ შეამჩნიო პირადული მოტივი მათ სწრაფვაში. დოროთე (დიმიტრი) დბარს პირადი პრიმიტიული ამბიციების გარდა (სრულფასოვანი ეპისკოპოსობა უნდა!), „თავისი“ აფხაზური ეკლესიის დამოუკიდებლობაც სურს რუსეთისა და საქართველოს ეკლესიებისაგან. მას უნდა, რომ თვითონ განახორციელოს სრულიად ყველა საეკლესიო ფუნქცია, რასაც კონსტანტინოპოლის პატრიარქი ბართოლომეოსი გაგებით ეკიდება. ტყუილად კი არ დადიან დოროთე და მისი თანამზრახველები სტამბოლში და ადგილობრივ იერარქებს ხვდებიან...

ცნობილი ისტორიკოსი, აღმოსავლეთმცოდნე მიხეილ იაკუშევი შექმნილ ვითარებას ასეთ კომენტარს უკეთებს: „დღეს პირველად დგას „რასკოლნიკებისათვის“ ავტოკაფალიის მიცემის საკითხი, მაგრამ ისინი არც ერთ ეკლესიას არ უღიარებია, თვით ბართოლომეოსაც კი. სამწუხაროდ, იგი იმ ძალების ზეწოლას განიცდის, რომლებიც კონსტანტინოპოლის საპატრიარქოთი მანიპულირებენ“. მიხეილ იაკუშევს ეთანხმება ბესარიონიც, რომლის აზრით, ბართოლომეოსის მცდელობას თავისი ხელისუფლების მთელი მსოფლიოს მართლმადიდებლებზე გავრცელების მიზნით (ისე, როგორც რომის პაპი კათოლიკეებზე), შეუძლია კატასტროფამდე მიიყვანოს არა მხოლოდ სლავური ხალხები, არამედ მსოფლიო მართლმადიდებლობაც: „ყველა ის გამოწვევა, რომლებიც კონსტანტინოპოლიდან მოდის, ნაკარნახევია ოკეანის იქიდან და პირველ რიგში მიმართულია რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ, მისი ავტორიტეტის დარღვევის მიზნით საერთაშორისო არენაზე“.

ამ მიზნის მისაღწევად კი გამოდგება არა მხოლოდ პატივმოყვარეობა და პირადი ამბიციები, არამედ ყოველი ბიწიერება იმ ადამიანებისა, რომლებიც მზად არიან სხვისი ნება-სურვილის შემსრულებლად, მარიონეტებად იქცნენ გამოცდილ მოთამაშეთა ხელში.

„KP.RU“ (რუსეთი)

ბათუმში მსუბუქი ავტომობილი ჯერ მანქანას, შემდეგ კი გარეგანათების ბოძს დაეჯახა

ბათუმში, 26 მაისის ქუჩაზე, ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. „აჭარის ტელევიზიის“ ინფორმაციით, მსუბუქი ავტომობილი ჯერ მანქანას, შემდეგ კი გარეგანათების ბოძს დაეჯახა.

არსებული ინფორმაციით, ავტომობილი სწრაფად მოძრაობდა. შემთხვევის შედეგად დაზიანებულია საავტომობილო გზაზე დამონტაჟებული საგზაო ნიშანი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, ავტომობილში მყოფი მგზავრები არ დაშავებულან.

სამეგრელოში ძმისშვილმა ბიძა თოფით მოკლა!!!

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, 1998 წელს დაბადებული ლ.ა. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ზუგდიდის რაიონის სოფელ ერგეტაში, ურთიერთშელაპარაკებისას, სანადირო თოფიდან გასროლით დაჭრა ბიძა — 1965 წელს დაბადებული გ.ა., რომელიც ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ლ.ა. ცხელ კვალზე დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი — სანადირო თოფი ნივთმტკიცებად ამოიღო“...

გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 108-ე მუხლით მიმდინარეობს. ჩადენილი დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

მკვლელობა ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივებისა და ვაკე-საბურთალოს სამმართველოების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1993 წელს დაბადებული გ.ხ., განზრახ მკვლელობის ბრალდებით თბილისში, ცხელ კვალზე დააკავეს. ჩადენილი დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა თბილისში, ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე, დროებით საცხოვრებელ სახლში, ამავე მისამართზე მცხოვრებ ბინის მფლობელს, 1973 წელს დაბადებულ ს.ა.-ს, ცივი იარაღით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა.

პოლიციამ გ.ხ. შემთხვევის ადგილზე დააკავა. მიმდინარეობს აქტიური საგამოძიებო მოქმედებები დანაშაულის მოტივის და სხვა ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად.

32 წლის მამაკაცმა ცეცხლსასროლი იარაღით ორი პირი დაჭრა!

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივებისა და გლდანი-ნაძალადევის სამმართველოების თანამშრომლებმა, ჩატარებული ინტენსიური ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1983 წელს დაბადებული დ.ე. განზრახ მკვლელობისა და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებებით დააკავეს.

ჩადენილი დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა თბილისში, მუხიანის დასახლებაში, წარსულში არსებული კონფლიქტისა და ეჭვიანობის ნიადაგზე, ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენიმე გასროლით დაჭრა 1985 წელს დაბადებული ნ.ც. და მასთან ერთად მყოფი, 1984 წელს დაბადებულ გ.თ., რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

ორივე დაჭრილი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფებმა დაუყოვნებლივ გადაიყვანეს სამკურნალო დაწესებულებაში, თუმცა ნ.ც. საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის ცეცხლსასროლი იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

მონოპოლისტი უფრო გვწამლავს თუ თუთუნი?!

გავლენები და ლობები თამბაქოს ქართულ ბაზარზე

უფილტრო და ფილტრიანი სიგარეტების დაბეგვრის ერთიან რეჟიმში მოქცევასთან დაკავშირებით ბოლო თვეებია, ცალკეულ მედიასაშუალებებში მიზანმიმართული პიარკამპანია შეინიშნება. **როდესაც მედიაში მსგავსი აქცია იგეგმება, ეს მხოლოდ ერთზე მითითებს – გარკვეულ ლობისტურ ჯგუფს საზოგადოებრივი აზრის შექმნა და ამით ხელისუფლებაზე ზეგავლენის მოხდენა სურს.**

იმისათვის, რომ მეტ-ნაკლებად გასაგები გახდეს, ვის რა ინტერესები ამოძრავებს, შევეცდებით, თამბაქოს ბაზარზე შექმნილი სურათი აღვწეროთ – ქართულ ბაზარზე იმპორტიორების სახით ოთხი ძირითადი მოთამაშეა წარმოდგენილი: Philip Morris International, British American Tobacco, Japan Tobacco International და Imperial-Tobacco. გარდა ამისა, არსებობს თამბაქოს ადგილობრივი მწარმოებელი „თბილისის თამბაქოს“ სახით, რომელიც ბაზრის მხოლოდ 10-15%-იან სეგმენტს იკავებს.



თამბაქოს გიგანტი კომპანიები ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების დროს აღმოჩნდნენ სასათბურე პირობებში, როდესაც ლობისტები მმართველ პოლიტიკურ ძალაში შეიძინეს და ადგილობრივ და იმპორტულ თამბაქოს ნაწარმზე აქციზის გადასახადის გათანაბრებას მიაღწიეს.

მაშინ ყოფილმა ხელისუფლებამ საკუთარი ქვეყნის ინტერესების იგნორირებით იმპორტიორების სასარგებლო გადაწყვეტილება მიიღო, ქართველი საზოგადოება კი შეცდომაში შეიყვანა, თითქოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მოთხოვნებს ასრულებდა.

ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ინერციით გაგრძელდა ეს პროცესი, რადგან მთავრობა, რომელიც ბიზნესის ხელშეწყობის ინიციატივით მოვიდა, მსხვილი იმპორტიორების შევიწროებას არ დაუშვებდა.

როგორც ჩანს, ამით ისარგებლეს ტრანსნაციონალურმა კომპანიებმა, რომლებმაც ბაზრის 100%-ით ათვისება გადაწყვიტეს და დემპინგის მეშვეობით ქართული წარმოების გაძევებას შეეცადნენ. მოგვიანებით აქციზის გაზრდილმა გადასახადმა და, შესაძლოა, ქართული კომპანიის მიერ ატეხილმა ხმაურმაც მდგომარეობა რამდენადმე მოაწესრიგა.

აქციზის გადასახადის გაძვირებამ თამბაქოს ბაზარზეც მოახდინა გადათამაშება და დაბალი მსყიდველობითი უნარის მქონე მოსახლეობამ იაფფასიან სეგმენტში გადაინაცვლა. იმპორტიორებს დღეს უკვე ამ სეგმენტის დასაკუთრებაც სურთ და საინფორმაციო კამპანია, რომელიც წამოიწყეს, სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

ზოგადად, ტრანსნაციონალური კომპანიებისთვის დამახასიათებელია ბაზრის აგრესიული მეთოდებით ათვისება, რაც მთელი მსოფლიოსთვის კარგად არის ცნობილი. იმისათვის, რომ რუსულ ბაზარზე შესულიყვნენ, ისინი კრემლის „მეგაპოლისის“ აქციონერები გახდნენ და ახლა თითქმის მთლიანად აკონტროლებენ ამ უდიდესი ქვეყნის ბაზარს. მათ იგივე მეთოდით დაიპყრეს ყაზახეთის ბაზარი, ანუ დღეს ყველა ტრანსნაციონალური კომპანია რუსული „მეგაპოლისის“ აქციონერია და უდიდესი ფინანსური ნაკადებით კრემლის რეჟიმს ამყარებს.

უამრავ სკანდალში არიან გახვეული სხვა ქვეყნებშიც, მაგალითად, ავსტრალიაში, აფრიკაში – საუბარია ქრთამის მიცემაზე, პოლიტიკოსების მოსყიდვაზე. უფრო მეტიც, ტრანსნაციონალური კომპანიები ყაზახეთში მიგრანტი ბავშვების მონური შრომის გამოყენებაში ამხილეს.

რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, რატომღაც, საქართველოში მსგავსი ფაქტების გახმაურება დიდ სკანდალში არასდროს გადაზრდილა და ასეთ შემთხვევებში საზოგადოება მხოლოდ კულუარული ინფორმაციით იკვებება ხოლმე.

საქართველოში ამ კომპანიებს სხვა სტრატეგია აქვთ არჩეული – ერთი მხრივ, მთავრობას და მოსახლეობას თავს კეთილისმყოფელ ინვესტორებად აჩვენებენ, ხოლო, მეორე მხრივ, ცდილობენ, ჩინოვნიკების მოსყიდვით საკუთარი პოლიტიკა უხმაუროდ გაატარონ.

მედიაში არაერთხელ გავრცელდა ინფორმაცია, რომ კვირიკაშვილის მინისტრთა კაბინეტის წევრი დიმიტრი ქუმსიშვილი იმ ტრანსნაციონალურ კომპანიებს ლობირებდა, რომელთაც ქართული წარმოების ბედი დიდად არ ანაღვლებდათ.

თამბაქოს პროდუქციის ქართულ წარმოებაზე ბაზრის საკმაოდ მცირე ნაწილი მოდის, 85%-ზე მეტს მულტინაციონალური კომპანიები ინაწილებენ. ლოგიკურად, იმპორტიორებს დიდ კონკურენციას არ უნდა უწევდეს მათთან შედარებით საკმაოდ მცირე სეგმენტის მფლობელი ადგილობრივი წარმოება, მაგრამ, როგორც ჩანს, მთავარი ბიზნესსტრატეგიაა – სრულად აითვისონ ყველა ის ბაზარი, სადაც არიან წარმოდგენილნი. სწორედ ამ სტრატეგიის ტექნიკურ მხარეს აგვარებენ მათი ადგილობრივი წარმომადგენლები. საქმე ისაა, რომ ადგილობრივი მენეჯერები ბაზრის სეგმენტის ზრდის პროპორციულად საკმაოდ დიდ პრემიებსა და ბონუსებს იღებენ, ხოლო ბაზრის შემცირებასთან ერთად პრემიები აკლდებათ – ამიტომაც ცდილობენ ყველას მოსყიდვას. მარტივი ენით რომ ვთქვათ, საქართველოში ტრანსნაციონალური კომპანიების წარმომადგენლობას საკუთარი ინტერესები ამოძრავებს და მითია მათი შეშფოთება, თითქოს უფილტრო სიგარეტის დაბალგანაკვეთური დაბეგვრით საქართველოს ბიუჯტი დიდ თანხებს კარგავს.

საინტერესოა, რომ ამ კომპანიებმა საქართველოს ყველა ხელისუფლების დროს მოახერხეს საკმაოდ საინტერესო სქემების აწყობა. მაგალითად, „ბრითიშ-ამერიქან თობაქოს“ პროდუქციას ბაზარზე ოპერირებას უწევს კიდევ ერთი კომპანია – „თ ენდ რ დისტრიბუშენი“. თავიდან მის 70%-ს ბიზნესმენი თემურ ჭყონია ფლობდა, ხოლო აქციების 30%-იან პაკეტს ექს-პრემიერ გიორგი კვირიკაშვილის მეგობარი რაფიელ სურამელაშვილი. მოულოდნელად ჭყონიამ წილი დათმო და კომპანიის მფლობელი ახლა მხოლოდ სურამელაშვილია.

ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ისტორიაა, თუმცა, როგორც მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, სურამელაშვილი ტრანსნაციონალური კომპანიების შუამავალი გახდა კვირიკაშვილის მთავრობასთან. ალბათ, იმისი მტკიცებულების მოპოვება ადვილი არ იქნება, ეს ლობიზმი კორუფციაში გადაიზარდა თუ არა და მართლაც მიჰქონდა თუ არა სურამელაშვილს ჩემოდნებით ტრანსნაციონალური კომპანიების „მადლიერება“ ქუმსიშვილთან, მაგრამ სათანადო დაინტერესების შემთხვევაში შეუძლებელი არაფერია და ყველაფრის გარკვევა შეიძლება.

ამ და სხვა მსგავსი ინფორმაციების გაჟონვის შემდეგ იმის ნაცვლად, რომ ხმაური ატეხილიყო და მომავალი მთავრობების კორუფციისკენ მიდრეკილების ერთგვარი პრევენციაც მომხდარიყო, ვნახეთ, როგორ ჩუმად გააცილეს კვირიკაშვილის მთავრობა და დღემდე უცნობია, რა გახდა მასთან დამშვიდობების რეალური მიზეზი, თუმცა, ეს სხვა თემაა.

რაც შეეხება მსხვილ იმპორტიორებს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ეტაპზე მთავრობასთან საკუთარი ინტერესების კულისებში გატარების პერსპექტივას ნაკლებად ხედავენ და სწორედ ამიტომ, სხვა მეთოდებით იბრძვიან ადგილობრივი წარმოების წინააღმდეგ.

სქემა, რასაც თვალს ვადევნებთ ბოლო პერიოდში, ასე გამოიყურება: მაგალითად, ზოგიერთი ექსპერტი აცხადებს, რომ თურმე საგადასახადო კოდექსში ხარვეზი არსებობს; შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, ჟურნალისტები ფინანსთა მინისტრს ეკითხებიან, სწორდება თუ არა ეს ხარვეზი და ისიც პასუხობს, რომ საკითხს ექსპერტები სწავლობენ. ამის შემდეგ იმპორტიორები უკვე ღიად ითხოვენ ფილტრიან და უფილტრო სიგარეტზე აქციზის გადასახადის გათანაბრებას და ისევ თავიანთ კომპანიებში დასაქმებული ექსპერტების მეშვეობით ცდილობენ, თითქოს ნეიტრალური პოზიცია მიაწოდონ საზოგადოებას იმის თაობაზე, რომ უსამართლობაა თამბაქოს სხვადასხვა ნაწარმზე დაბეგვრის სხვადასხვა რეჟიმი ვრცელდებოდეს და ა.შ.

იმპორტიორების მხრიდან იმისი მცდელობაც შეინიშნება, რომ ცნება უფილტრო სიგარეტი საერთოდ გაქრეს ქართული სინამდვილიდან. ცხადია, ეს პროცესი აქ არ დასრულდება და გაგრძელებაც ექნება, თუმცა, მნიშვნელოვანია, რამდენად შეძლებს საქართველოს ხელისუფლება საკუთარი ქვეყნის ინტერესების დაცვას, რამდენად გაუწევს ანგარიშს, ერთი მხრივ, სოციალურად მძიმე მდგომარეობაში მყოფ ხალხს, რომელსაც ძვირი პროდუქტის შეძენის უნარი არ შესწევს, მეორე მხრივ, ადგილობრივ წარმოებას, სადაც ეს ხალხია დასაქმებული.

იხ. 11 გვ.

ქართველ მეზღვაურებს თურქები სახელფასო დავალიანებას აუნაზღაურებენ

27 ნოემბერს ბათუმში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ადმინისტრაციულ შენობაში გაიმართა შეხვედრა გემ „ალიჯან კარტალი“-ს ეკიპაჟის ქართველ წევრებთან. შეხვედრას დაესწრნენ მხარეები, რომლებიც გემის ქართველი მეზღვაურებისთვის სახელფასო დავალიანების ანაზღაურების საკითხთან დაკავშირებით მოლაპარაკებებში იყვნენ ჩართულები. შეხვედრაში მონაწილეობდნენ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის მოადგილე ივანე აბაშიძე, აჭარის ა.რ. მთავრობის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი ალექსანდრე დავითაძე და საქართველოს მეზღვაურთა პროფკავშირის თავმჯდომარე ანატოლი ჩიჯავაძე.

გემი „ალიჯან კარტალი“ სხვადასხვა პრობლემების გამო 2018 წლის ივლისიდან დღემდე ბათუმის ნავსადგურში დგას. თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე თვეების განმავლობაში არ უხდიდა სახელფასო დავალიანებას ეკიპაჟის წევრებს.

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო პირველივე დღეებიდან აქტიურ მონაწლეობას იღებს მეზღვაურთა სახელფასო დავალიანების საკითხის მოგვარების პროცესში. გემთმფლობელთან მოლაპარაკებებში სააგენტოსთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, აჭარის ა.მთავრობა და საქართველოს მეზღვაურთა პროფკავშირები. ჩართული მხარეების აქტიურობის შედეგად 26 ნოემბერს მიღწეულ იქნა შეთანხმება და გემის მფლობელი მეზღვაურებს სახელფასო დავალიანებას შეთანხმების პირობების შესაბამისად აუნაზღაურებს.

კახეთის არცერთ მუნიციპალიტეტს განაშენიანების გენერალური გეგმა არა აქვს

ფოტოგრაფი **გიორგი ბეჟანიშვილი თელავში ცხოვრობს, ქალაქის ფოტოებს თითქმის ყოველდღე იღებს და ნებისმიერ ინფრასტრუქტურულ ცვლილებასაც მაშინვე ამჩნევს. გიორგი ამბობს, რომ მართალია, თელავში ისეთი ქაოსური მშენებლობები არ არის, როგორც, მაგალითად, თბილისსა და ბათუმში, თუმცა ქალაქის ინდუსტრიული ნაწილის განაშენიანება არ მოსწონს. მაგალითად, მოჰყავს თელავის ბაზრის მიმდებარე ტერიტორია, სადაც მისი აზრით, ავტომანქანების სადგომი უნდა არსებობდეს, ამის ნაცვლად კი საოფისე ფართები შენდება.**

თელავის განაშენიანების გენერალურ გეგმაზე მუშაობა ჯერ კიდევ 2015 წელს დაიწყო. პროცესში ჩართეს შტუტგარტის უნივერსიტეტის 15-კაციანი ჯგუფიც. თელავის მერი შოთა ნარეკლიშვილი ამბობს, რომ მუშაობის პროცესი დასკვნით ეტაპზეა და დოკუმენტი, სავარაუდოდ, მზად იქნება ამ წლის ბოლოსთვის. მერის ინფორმაციით, პროცესში ჩართულია საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო. თელავის განაშენიანების გენერალურ გეგმაში დეტალურად უნდა გაიწეროს მშენებლობის სტანდარტები, პროცედურები და ქალაქის განაშენიანების ყველა ასპექტი.

კახეთის რეგიონში, სადაც განაშენიანების გენერალური გეგმა არცერთ მუნიციპალიტეტს არ გააჩნია, მშენებლობები ძირითადად, ქაოსურად მიმდინარეობს. ეს ტენდენცია მიუღებელია ადგილობრივი მოსახლეობის არცთუ მცირე ნაწილისთვის. რადიო „თავისუფლების“ მიერ გამოკითხული რესპონდენტები ამბობენ, რომ სპეციალისტების მონაწილეობით უნდა დაიგეგმოს არა მხოლოდ მუნიციპალური ცენტრების, არამედ სოფლების განაშენიანებაც. გენერალური გეგმის არსებობას აუცილებლად მიიჩნევენ თვითმმართველობების ხელმძღვანელებიც, თუმცა, იმასაც ამბობენ, რომ მსგავსი დოკუმენტის მომზადება 200-300 ათასი ლარი ჯდება და დონორი ორგანიზაციების დახმარების გარეშე, ეს შეუძლებელი იქნება.

გიორგი ალადაშვილი

◎ ვითარება

ჩვენი ჭუჭყი გარეთაც გავიტანეთ!

ამ დღეებში გულისტკივილით გაუწყეთ ქართველ კიმონოიანთა კრახის შესახებ იაპონიის გრანდ-სლემზე, სადაც რვა „ჯვაროსანმა“ უმედლოდ დაასრულა ასპარეზობა. გაოცებისგან მხრებს ვიჩეჩავდით ძიუდოს სამშობლოდან მოსული ინფორმაციის გამოც, რომლის თანახმადაც, თურმე, ხუთი ჩვენებური ტრავმირებული გასულა ტატამზე.

როგორც ირკვევა, აღნიშნულ ეპიდემიას სამარცხვინო მიზეზი ჰქონია – „ტელეიმედის“ გადაცემა „ქრონიკის“ ცნობით, ჩვენი სახელოვანი ფალავნები ერთმანეთს დარევიან! უფრო მეტიც, ჩვენმა კოლეგებმა კონფლიქტის მონაწილეთა სავარაუდო სიაც გაასაჯაროვეს. კერძოდ, გუნდის ძირითადი ბირთვი შავდათუაშვილსა და მარგველაშვილს დაპირისპირებია, ხოლო თუშიშვილი განზე გამდგარა.

სამწუხაროდ, გამართლდა ვარაუდი, რომ ეროვნული ფედერაციის ახალი პრეზიდენტის ირაკლი ათაბეგიშვილის არჩევა მხოლოდ დროებით თუ ჩააცხრობდა ემოციებს და ქართულ ძიუდოში არსებულ განხეთქილებას მოვლენათა სკანდალური განვითარება მალევე მოჰყვებოდა. დასანანია, რომ არ შევმცდარვართ.

საინტერესოა, იაპონური გარჩევა საარჩევნო ციებცხელების გამოძახილს უკავშირდება თუ არა – ჩვენში ხომ ყველაფერი პოლიტიკითაა ნასაზრდოები.

კობა კობახიძე

◎ ჩემპიონთა გალერეა

ეს სეზონია „საბურთალოსი“!

საქართველოს ჩემპიონთა გალერეას მეცხრე გვირგვინოსანი შეემატა. ესაა „საბურთალო“, რომელმაც ბრწყინვალედ წარმართა მთელი სეზონი და ფინიშამდე სამი ტურით ადრე ყველასთვის მიუწვდომელი შეიქნა.

ტრიუმფის ჟამს განსაკუთრებული მადლიერებით ვიხსენიებთ კლუბის დამფუძნებლებს – ქართლოს ჭუმბურიძესა და დავით პეტრიაშვილს, რომლებიც, სამწუხაროდ, ნაადრევად გახდნენ უკვდავების ბინადარნი. ვიმედოვნებთ, საბურთალოელთა პრეზიდენტის ტარიელ ხეჩიკაშვილისა და გუნდის მთავარი მწვრთნელის გიორგი ჭიაბრიშვილის სამაგალითო თანამშრომლობა წარმატებით გაგრძელდება საერთაშორისო სარბიელზეც – გაისად ხომ ბიჭებს დებიუტი ელით ჩემპიონთა ლიგაში.

დავძენთ, რომ აქამდე ეროვნული ლიგის გამარჯვებულები იყვნენ თბილისის „დინამო“, ქუთაისის „ტორპედო“, დედაქალაქის „ვიტ ჯორჯია“, ბოლნისის „სიონი“, რუსთავის „ოლიმპი“, გორის „დილა“, „სამტრედია“ და „ზესტაფონი“.

რაც შეეხება „ოქროს მატჩს“, მას მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის თითქმის ცარიელმა ტრიბუნებმა და რამდენიმე დღის წინათ გამართული სარაგბო შეხვედრის გამო გაპარტახებულმა მინდორმა უმასპინძლა თბილისის „დინამოსთან“.

მართალია, ანგარიში რუხაიას ფლანგური ჩაწოდების შემდეგ დინამოელთა ბომბარდირმა ზივზივაძემ გახსნა, მაგრამ ვაგნერის სახით მეტოქეს მალევე მოევლინა მხსნელი, რომელმაც ჯერ პენალტი მოუტანა პარტნიორებს (იგი კოხრეიძემ გამოიყენა), ხოლო შემდეგ მეკარე სიკაჩთან პირისპირ დარჩენილმა ელეგანტური დარტყმით გაიტანა გადამწყვეტი ბურთი – 2:1.

მოკლედ, ვულოცავთ „საბურთალოს“!

გიორგი შოთაძე

ოვალური ბურთის ლეგენდა

ხელბურთში კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა მისი სასპორტო კარიერა, ერთი შემთხვევა რომ არა: სკოლის დამთავრების შემდეგ 1968 წელს **დავით კილასონია** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. ახლო მეგობარმა – ირაკლი გელოვანმა (ისინი ერთ ეზოში ცხოვრობდნენ) ერთხელ სტუდქალაქის სტადიონზე წაიყვანა, სადაც თსუ-ს მორაგბეთა გუნდი ვარჯიშობდა სანდრო მელითაურის ხელმძღვანელობით. უნივერსიტეტელებს ავად გაუხდათ ერთი მორაგბე – შიო ვასაძე. მწვრთნელმა უცხო ყმაწვილი შეათვალიერა და ორ ნომრად დააყენა – ფართო მხრები გაქვს და შერკინებაში ივარგებო.



იმ დღიდან ოვალურ ბურთს შემორჩა, არადა, ჭაბუკობისას დავით ყიფიანთან ერთად უთამაშია ფეხბურთი. რადგანაც მოედანზე სწრაფად მოძრაობდა, მწვრთნელმა ცხრა ნომრად გადაიყვანა და 18 წლის ჭაბუკი „ლოკომოტივის“ მწვრთნელმა ნოდარ ყიფიანმა გუნდში მიიწვია. 1970 წელს დავით კილასონია, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ყველაზე უმცროსი მონაწილე, ახალგაზრდა მორაგბეთა შორის საუკეთესოდ აღიარეს. ორი წლის შემდეგ „ლოკომოტივის“ შემადგენლობაში საკავშირო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი ხვდა და სპორტის ოსტატი გახდა. 1973 წელს საკავშირო ახალგაზრდულ გუნდში, ორი წლის მერე კი საბჭოთა კავშირის მთავარ ნაკრებში მიიწვიეს. ოთხი წელიწადი იცავდა მის ღირსებას. 1978 წელს, როცა „ლოკომოტივმა“ საკავშირო თასი და საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, გუნდმა მთელი სეზონის განმავლობაში 197 ქულა მოაგროვა, საიდანაც 108 ქულა დავით კილასონიას წილად მოდიოდა. იმავე წელს საბჭოთა კავშირის ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაშიც ქართველმა მორაგბემ 22 ოფიციალური მატჩი ჩაატარა, ევროპის ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავა.

დავით კილასონიამ თავი გამოიჩინა, როგორც დიდმა ორგანიზატორმა: საქართველოს სპორტკომიტეტში მისი სახელმწიფო მწვრთნელობისას საქართველოს რაგბის „ოქროს ხანა“ ედგა: საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ჩვენი ქვეყნის სამი გუნდი მონაწილეობდა – ქუთაისის „აია“, თბილისის „ლოკომოტივი“ და „შევარდენი“. რიონისპირელებმა ზედიზედ სამჯერ საკავშირო ჩემპიონატის ოქროს მედლები დაიმსახურეს. კილასონიას სახელს უკავშირდება ფიზკულტურის ინსტიტუტში რაგბის სპეციალობის გახსნა. მისი ინიციატივით დაფუძნდა რაგბის ჯგუფები სხვადასხვა ქალაქსა და რაიონში.

ქართული სპორტის ისტორიაში პირველად დავით კილასონიას ინიციატივით ჩამოყალიბდა ჩვენი ქვეყნის ეროვნული ნაკრები, რომელმაც 1989 წლის 12 სექტემბერს ქუთაისში ზიმბაბვეს ეროვნულ გუნდთან პირველი საერთაშორისო ტესტმატჩი გამართა. დააარსა რაგბის მუზეუმი, ჩვენი ეროვნული საუნჯე ლელო გაათანამედროვა და საქართველოს ლელობურთის ფედერაცია დააფუძნა.

ვინ იცის, კიდევ რამდენი რამ დარჩა განუხორციელებელი, რადგან ორთვიანი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ქართული რაგბის ლეგენდა – 67 წლის დავით კილასონია 24 ნოემბერს გარდაიცვალა.

ლექსო ცინცაძე

სანთელი

სოსლან ანდიევი

საჭიდაო სამყარომ კიდევ ერთი ლეგენდა დაკარგა – ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 66 წლისა გარდაიცვალა ქართველ ფალავანთა ერთგული ოსი მეგობარი, ორგზის ოლიმპიური, ოთხგზის მსოფლიო, სამგზის ევროპისა და შვიდგზის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი სოსლან ანდიევი.

ხალიჩის დიდოსტატმა საკუთარი ღირსებები მეცნიერებასა და პოლიტიკაშიც წარმატებით წარმოაჩინა. ალბათ, ამიტომაცაა, მას გულისტკივილით რომ ეთხოვებიან არა მარტო სამშობლოში და არა მარტო სპორტული საძმოს წევრები...

„სრ“ სპორტის რედაქცია



გავლენები და ლობები თამბაქოს ქართულ ბაზარზე

(მეცხრე გვერდიდან) იმპორტიორს საქართველოს პატრიოტობას ნამდვილად ვერავინ მოსთხოვს და ვალდებულიც არ არის ადგილობრივი წარმოების ბედზე იფიქროს, მაგრამ უნდა არსებობდეს ხელისუფლება, რომელიც საკუთარი ქვეყნის ინტერესებს დაიცავს, ისე, მაგალითად, როგორც უკრაინის ხელისუფლებამ წაუყენა მათ საკუთარი პირობები და დღეს სწორედ ამ კომპანიების მიერ უკრაინაში აშენებულ ქარხნებში წარმოებული თამბაქოთი მარაგდება საქართველო.

როგორი გავლენები აქვთ ტრანსნაციონალურ კომპანიებს, „ომეგა ჯგუფთან“ დაკავშირებული სკანდალის შემთხვევამაც დაგვანახა, როდესაც თამბაქოს ნედლეულის ადგილობრივი წარმოების იდეა პროექტად კი იქცა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, „ფილიპ მორისის“ ჩარევის შედეგად ჩაიშალა. ითქვა, რომ ერთ-ერთმა პოტენციურმა კომპანიონმა პროექტი გაყიდა. ასეა თუ ისე, ახლო მომავალში მსგავსი წარმოების შექმნის პერსპექტივა უკვე აღარ ჩანს იმის მიუხედავად, რომ აღნიშნული იდეით თვით ბიძინა ივანიშვილი დაინტერესდა და ინვესტირებაც საკუთარ თავზე აიღო.

მოახერხებს თუ არა თამბაქოს ქართული წარმოება ამ შემთხვევაში თავის დაცვას, ძნელი სათქმელია, მით უმეტეს, რომ მედიით გამუდმებით მიმდინარეობს ამ თემის წამოწევა, რისი ინიციატორიც სწორედ დიმიტრი ქუმსიშვილია.

გეგმავენ თუ არა თამბაქოს დაბეგვრის რეჟიმის ცვლილებას, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო და დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტები ინფორმაციას არ ფლობენ. რაც შეეხება ფინანსთა მინისტრს, ივანე მაჭავარიანის განცხადებით, სამინისტრო ექსპერტებთან ერთად თამბაქოს ადგილობრივი წარმოების მიერ ფილტრიანი სიგარეტის უფილტროდ გასაღების საკითხს სწავლობს.

„ჩვენ განვიხილავთ ამ საკითხს და კანონის ფარგლებში მოვიქცევით. თუ ექვემდებარება აქციზი გათანაბრებას — გავათანაბრებთ. ამაზე მუშაობს შესაბამისი ჯგუფი, მათ შორის ექსპერტები, როგორც სამინისტროს შიგნით ისე სხვა უწყებებთან ერთად და მოვიქცევით ისე, როგორც კანონს შეესაბამება“, — განაცხადა ფინანსთა მინისტრმა.

შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, ამგვარი კანონპროექტი განსახილველად შეტანილი არ არის, მაგრამ მზადდება თუ არა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები, ინფორმაცია არ გააჩნიათ.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ტრანსნაციონალური კომპანიები გლობალური მიზნებისაკენ სწრაფვის პროცესში ახერხებენ ეროვნული მთავრობების ძალაუფლების დაძლევას და პირდაპირ და ირიბად მონაწილეობენ მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებში, საქართველოს ეროვნული ინტერესების გვერდის ავლაში დიდი ძალისხმევის დახარჯვა არც მოუწევთ. თუმცა, ასეთ შემთხვევაში ხელისუფლებას მკვეთრი პასუხი უნდა გააჩნდეს, აპირებს თუ არა ეროვნული წარმოების ხელშეწყობას და ეს ხელშეწყობა რაში გამოიხატება.

სხვათა შორის, მამუკა ბახტაძე, როდესაც პრემიერობისთვის ემზადებოდა, საკუთარი პოზიციის პრეზენტაციისას აცხადებდა, რომ მზად არის, ტრანსნაციონალურ კომპანიებს ყველანაირი შეღავათი გაუწიოს იმ შემთხვევაში, თუ ისინი შემოვლენ საქართველოში, გახსნიან წარმომადგენლობებს, ააშენებენ საწარმოებს და სამუშაო ადგილებს შექმნიან. კარგი იქნებოდა, ეს მიდგომა თამბაქოს მსხვილ იმპორტიორებზეც გავრცელებულიყო — მათ უამრავი საწარმო შექმნეს იმ ქვეყნებში სადაც ოპერირებენ - უკრაინაში, რუსეთში, თურქეთში, ბელარუსში და ა.შ. საქართველოში კი ამ პოლიტიკის ნაცვლად ბაზრის სრული მონოპოლიზაციის მცდელობას უკვე მერამდენედ ვადევნებთ თვალს.

მარიამ თოდაძე

სულთათანა

ამირან შალიკაშვილი

ქართულ სასცენო ხელოვნებას რეფორმატორთა კოჰორტის ბრწყინვალე წარმომადგენელი ამირან შალიკაშვილიც ამშვენებდა.

მას უფალმა უდიდესი მისია — პანტომიმის თეატრის შექმნა და ხანგრძლივად გაძღოლა დააკისრა. სიამაყით უნდა ითქვას, რომ, მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა და ხმალამოღებული ბრძოლისა, იგი გამარჯვებული შეუერთდა ზეციურ საქართველოს.

ღირსეულ მამულიშვილს გაისად 80 წელი შეუსრულდებოდა.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახსა და სრულიად საქართველოს.

სანთელი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, ბატონი დავით გვაძაბიას ძმის

ჯავარ გვაძაბიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ხსოვნა

ინსტიტუტი „საქგზამეცნიერება“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის ღვაწლმოსილი თანამშრომელი, ერთ-ერთი განყოფილების ხელმძღვანელი

ოთარ ქანთარია

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახსა და სანათესაოს.

თანამედროვე ტექნოლოგიები

ნამცხვარი... კომპიუტერისთვის

შარშან დეკემბერში ჩინეთში გამართულ ინტერნეტის მართვის საკითხებისადმი მიძღვნილ მსოფლიო კონფერენციაზე საქვეყნოდ ცნობილი „კასპერსკის ლაბორატორიის“ დამფუძნებელმა **ევგენი კასპერსკიმ** შოკისმომგვრელი ციფრები მოიყვანა: ბოლო ერთი წლის განმავლობაში დაახლოებით 90 მილიონი მავნე პროგრამა გაჩნდა. მთლიანად კი მსოფლიო ქსელში კომპიუტერებს უკვე 500 მილიონი ვირუსი აავადებს, რომლებსაც ათასობით „ვირუსოლოგი“ ებრძვის. არადა, მათი წარმოშობა ჯერ კიდევ 1949 წელს პროგრამირების ერთ-ერთმა პირველმა გზამკვლევმა **ჯონ ფონ ნეიმანმა** იწინასწარმეტყველა.

დღესდღეობით ცოტა ვინმეს ახსოვს, თუ როგორი იყო პირველი ელექტროგამოთვლითი მანქანები, რომლებიც, თანამედროვე კომპიუტერებთან შედარებით, ჭეშმარიტად რკინის ურჩხულებს უფრო წარმოადგენდნენ. პროგრამირების იმდროინდელი მეთოდები უფრო სერიოზულ მათემატიკურ კვლევებს წარმოადგენდნენ, ვირუსები კი კომპიუტერის პირველი გენიოსი სპეციალისტების მეგობრული ხუმრობების შედეგად გაჩნდნენ. ამერიკელმა სკოლის მოსწავლემ **კრის თავარესმა,** რომელიც 512 ბაიტის სიმძლავრის კომპიუტერზე მუშაობდა (ამდენს ამჟამად მობილურ ტელეფონში სამი სმს-შეტყობინება იკავებს), სახუმარო პროგრამა „ნამცხვრის ურჩხული“ მოიგონა, რომელსაც დროდადრო მონიტორის ეკრანზე მოთხოვნა გამოჰქონდა: „მომეცი ნამცხვარი!“, რის შემდეგაც ეკრანი იბლოკებოდა, სანამ ოპერატორი სიტყვა „ნამცხვარს“ არ შეიყვანდა. მერე და მერე ასეთი „ხუმრობები“ სულ უფრო მეტად დაიხვეწა. მსოფლიოში პირველი ჰაკერები კი ორეგონის შტატის სტუდენტები **სტივ ჯობსი** და **სტივ ვოზნიაკი** გახდნენ. მათ ხელსაწყო გამოიგონეს, რომლის მეშვეობით სტუდენტური კამპუსიდან უფასოდ მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში შეიძლებოდა დარეკვა. ამის გარდა, მათ კიდევ არაერთი „სახუმარო“ პროექტი განახორციელეს, შემდეგ კი კომპანია „ეფლი“ შექმნეს, რომლის ჩაკბეჩილი ვაშლით დამშვენებული კომპიუტერები დღეს მსოფლიოს ყველა კუთხეში მუშაობენ. სტანდარტული პროგრამული უზრუნველყოფის გარდა, ხულიგანმა გენიოსებმა „ვანდალების“ მთელი ჯარიც შექმნეს, რომლებიც იმ მომხმარებელთა მონაცემებს ანადგურებდნენ, რომლებიც „ვაშლიან“ კომპიუტერებზე მუქთად

მუშაობას ცდილობდნენ. 1984 წელს კი უსაფრთხოების საკითხებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე ამ პროგრამებს „ვირუსები“ ეწოდა. 80-იან წლებში ასეთი პროგრამების ოდენობა ორ ათეულამდე ვერ აღწევდა, მაგრამ ინტერნეტის შექმნის შემდეგ, ვირუსების რიცხოვნობამ გეომეტრიული პროგრესიით იმატა. მათ შემქმნელებს კი „ჰაკერები“ შეარქვეს.

ამერიკაში თავი გამოიჩინა კორნელის უნივერსიტეტის ასპირანტმა **რობერტ მორისმა**, რომლის შექმნილი ვირუსი ისტორიაში პირველი ქსელური „ჭიაყელის“ სახელწოდებით შევიდა. 1988 წლის ნოემბერში მხოლოდ ერთ დღეში მან, ექვსი ათასი კომპიუტერის პარალიზებით, 100 მილიონი დოლარის ზარალი გამოიწვია. მართალია, რობერტ მორისმა თავისი საქციელი მოინანია, მაგრამ მის მიერ კომპიუტერული ვირუსების გავრცელების ხერხი ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდა, რის შემდეგაც „ჭიაყელები“ კომპიუტერებს ისე თავხედურად უტევენ, რომ მათთან შედარებით კალიებისა და ფაროსანას შემოსევები ბავშვურ ანცობას უფრო ჰგავს.

მე-20 და 21-ე საუკუნეების მიჯნაზე სახელმწიფოთა პოლიტიკურმა ლიდერებმა ერთმანეთის ჰაკერული შეტევების ბრალდებების მთელი სერია წაუყენეს. მაგალითად, 1998 წელს მანამდე უცნობმა ვირუსმა აშშ-ის მთავრობისა და სამხედრო უწყების ხუთი ასეული კომპიუტერი დაავირუსა, რაშიც უმალ ერაყი დაადანაშაულეს, რომელიც სადამ ჰუსეინის მმართველობის დროს ამერიკული დემოკრატიის ნომერ პირველ მტრად იყო შერაცხილი.

ამ დროისთვის მსოფლიოს პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში ინფორმაციის დაცვის საკმაოდ ეფექტიანი ქვედანაყოფები იყო შექმნილი, ამდენად დამნაშავეთა დადგენა ამერიკელმა კიბერ-პინკერტონებმა მალევე შეძლეს, თუმცა კი ისინი არა ბაღდადელები და საერთოდაც, არა ახლოაღმოსავლეთელი ტერორისტები, არამედ კალიფორნიელი მოზარდები აღმოჩნდნენ.

კომპიუტერული უსაფრთხოებისთვის დიდი ყურადღების დათმობა მე-20 საუკუნის მიწურულს მას შემდეგ დაიწყეს, რაც ვირუსი „მელისა“ გაჩნდა, ამის შემდეგ ანტივირუსული პროგრამების ფართოდ დანერგვა დაიწყეს. თუმცა ისიცაა, რომ დამნაშავის მენტალიტეტის მქონე ჰაკერები არ ცხრებიან: „კასპერსკის ლაბორატორიის“ ექსპერტებმა უკვე აღმოაჩინეს ვირუსი, რომელსაც მომხმარებელთა ვირტუალური საფულეებიდან კრიპტოვალუტის ამოცლა შეუძლია: ის ფულს მაშინ იპარავს, როცა პატრონს ერთი საფულიდან მეორეში გადააქვს, რა დროსაც გადარიცხვის ადრესატის მისამართს საკუთარით ცვლის.

ბუნებრივია, რომ ანტივირუსული პროგრამების შექმნის ტექნოლოგია დიდად გასაიდუმლოებულია, თანაც ხუმრობით იმასაც ამბობენ, რომ, თუ რომელიმე წარმატებულ IT-კომპანიის ერთ ქვედანაყოფში ვირუსებს ქმნიან, მეორეში უკვე ანტივირუსზე მუშაობენ.

შედეგად, ბიზნესი ჯერჯერობით დიდად წარმატებულია...

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ



თერჯოლაში ნავენახევის მღვიმე გაიხსნა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზიებით **თერჯოლაში ნავენახევის მღვიმე ახალი ეკოტურისტული ინფრასტრუქტურით გაიხსნა.**

ადგილზე აშენდა ვიზიტორთა ცენტრი, კაფეტერია და სუვენირების მაღაზია. ასევე გამოიყო საგანმანათლებლო სივრცე. მღვიმეში დამონტაჟდა თანამედროვე განათების სისტემა და მოეწყო ეკოტურისტული ბილიკი. ინფრასტრუქტურული პროექტი საქართველოს ბიუჯეტიდან 980 000 ლარით იყო დაფინანსებული.

გახსნის ოფიციალურ ღონისძიებას ადგილობრივი მოსახლეობა ესწრებოდა. მათ სიტყვით გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, დაცული ტერიტორიების სააგენტოს და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა მიმართეს და რეგიონში ეკოტურისტული ობიექტის არსებობის მნიშვნელობაზე ისაუბრეს. ნავენახევის მღვიმე განსხვავებული და ლამაზი ფორმის სტალაგმიტებით, სტალაგნატებითა და სტალაქტიტებით გამორჩეული 250 მეტრის სიგრძის ორსართულიანი და 4-დარბაზიანი მღვიმეა, რომელიც 80-იან წლებში ვიზიტორებში პოპულარობით სარგებლობდა, თუმცა მოგვიანებით ინფრასტრუქტურის წყობიდან გამოსვლის გამო ტურისტებისთვის დაიკეტა.

სოფო ხალვაში – ბათუმის მერის მოადგილე

ცნობილი **მომღერალი სოფო ხალვაში ბათუმის მერის მოადგილედ დაინიშნა. ინფორმაცია აჭარის საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გაავრცელა.**

სოფო ხალვაში დაიბადა 1986 წლის 31 მაისს, ბათუმში. ის იყო ევროვიზია 2007-ის საქართველოს წარმომადგენელი. 2006 წელს გაემგზავრა ლატვიაში ქალაქ იურმალაში, სადაც კონკურსზე მესამე ადგილი დაიკავა. მომღერალს ფესტივალმა „ახალმა ტალღამ“ საკმაოდ დიდი პოპულარობა მოუტანა არა მარტო სამშობლოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. მისი სადებიუტო ალბომი (რომელშიც შესულია ორიგინალი სიმღერები) ჩაიწერა ლონდონში. მომღერალს ჰყავს ქმარი – მიხეილ ძოძუაშვილი და მცირეწლოვანი ქალიშვილი.

გაზეთის გამოსაწერად მიმართეთ:

„ელვა სერვისი“
238-26-73; 577 99 16 51
238-26-14; 577 30 88 47

„მაცნე“
214-74-22; 599 982 777

„პლანეტა-ფორტე“
292 18 59; 579 79 99 08

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ რედაქციაშიც:
2-99-02-10;
599 797 679.

„ჯეომედია“
266-51-13;
593 209 526

გაზეთი შეგვიძლია მოგაწოდოთ ელექტრონულადაც, ელ.ფოსტის საშუალებით.

„ღვინო და კულინარია“ – გადამზადების კურსი 100-ზე მეტ გიდს ჩაუტარდა

ეკონომიკისა **და** **მდგრადი** **განვითარების** **სამინისტროს** **ორგანიზებით** **ღვინის** **თემატიკაზე** **მომუშავე** **გიდებს** **ტრენინგი** **ჩაუტარდათ.** **„ღვინო** **და** **კულინარიის** **“** **შემსწავლელი** **კურსი** **100-ზე** **მეტმა** **ადამიანმა** **გაიარა.** **სწავლების** **მიზანი** **მომსახურების** **ხარისხის** **გაუმჯობესებაა.** **ტრენინგის** **მონაწილეებს** **შეხვდა** **ტურიზმის** **ეროვნული** **ადმინისტრაციის** **ხელმძღვანელი** **გიორგი** **ჩოგოვაძე.** **სასწავლო** **კურსი** **შემდეგ** **თემატიკას** **მოიცავდა:**

1. ღვინის და ვაზის ისტორია. 2. თანამედროვე ტენდენციები ქართულ კულინარიაში და გამჭვირვალე სამზარეულო. 3. ღვინის არომატები და დაგემოვნება. 4. ღვინის ტურიზმი და მისი პერსპექტივები საქართველოში და ა.შ. ტურიზმის სფეროში მომსახურების ხარისხის ამაღლების მიზნით ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია მთელი საქართველოს მასშტაბით უფასო ტრენინგებს ატარებს.

გასულ წელს ტურიზმის სფეროში დასაქმებული 1300-ზე მეტი ადამიანი გადამზადდა, მათ შორის: გიდები, განთავსების და კვების ობიექტების თანამშრომლები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ყურადღება! ყურადღება!

ძვირფასო ქართველო ბიზნესმენებო, უნიკალური სამკურნალო თვისებებით განთქმულ კურორტ საირმეში იყიდება 2433 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი, რომელიც გამოდგება ნებისმიერი სოციალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ან სასტუმრო კომპლექსის ასაშენებლად.

ფასი შეთანხმებით!

დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:
599-79-76-79; 599-36-00-35; 599-53-76-16.

„ნუგბარი“ საფრთხე...

ტკბილეული სისხლძარღვებს არ უხდება. მეცნიერებმა იმ მოხალისეთა ჯგუფი შეისწავლეს, რომლებიც ყოველდღიურად ტკბილეულს მიირთმევდნენ.

სისხლმომარაგების დონის გაზომვისას მკვლევარებმა დაადგინეს, რომ 14 დღის შემდეგ სისხლძარღვთა მუშაობის გაუარესების გამო კიდურებში სისხლის მოწოდება 17 პროცენტით შემცირდა. მკვლევარები ვარაუდობენ, რომ გარდა ამისა, ტკბილეული ასევე აუარესებს გულისა და თავის ტვინისთვის სისხლის მიწოდებას.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 30 ნოემბერს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6680; ევრო - 3.0316;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4276
100 რუბლი - 4.01851; თურქული ლირა - 0.5025;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5740;
1000 სომხური დრამი - 5.5010.

ამინდი 28 ნოემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-1,	დღე	+17
მთიანი რაიონები -	ღამე	-5,	დღე	+15
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+7,	დღე	+21
მთიანი რაიონები -	ღამე	+1,	დღე	+15
თბილისი:	ღამე	+3,	დღე	+16

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge